პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში სამდივნოში მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
[illegible] 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივნის 10—58

[illegible] — 35 კ. [illegible] — 95 კ. [illegible] — 25 კ. [illegible] —5 მან. [illegible] —50 კაპ. [illegible] ბა 3 საათამდე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

სამშაბათი, 9 დეკემბერი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კ. № 281 (1136)

დღიური

— ესტონეთის გლეხები განაგრძობენ ბრძოლას მთავრობის ტერორის წინააღმდეგ.

— სპარსეთში გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც გამოიტანეს რეზოლუციები [illegible] წინააღმდეგ.

— ჩინეთში კვლავ გაჩნდნენ [illegible] შტაბი ტყვედ ჩაუვარდა პეკინის მთავრობას.

— გუშინწინ გერმანიაში დაიწყო რეიხსტაგის არჩევნები, რომელიც მეტად მწვავე ხასიათს ატარებს.

— იტალიის ციხეებში ამჟამად იმყოფება 12 ათასი პოლიტიკური პატიმარი.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ ჩვენი ელჩი საფრანგეთში, ამხ. კრასინი ამ დღეებში ჩავიდა პარიზში. ეცოდინება ისიც, თუ როგორი აღფრთოვანებით შეხვდენ საბჭოთა წარმომადგენელს საფრანგეთის რევოლიუციონურად განწყობილი მუშები.

დღევანდელი რადიო კი გადმოგვცემს, რომ ამხ. კრასინი ეწვია საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარეს —ერრიოს და ჰქონდა მასთან საუბარი.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა საფრანგეთის მიერ ჭკუაში არ დაუჯდებოდათ რუს თეთრ-გვარდიელებს, რომელთა უმთავრეს ბუდეს პარიზი წარმოადგენს. მაგრამ რაკი ამ აქტის ჩაშლა კონტრ-რევოლიუციონერ ემიგრანტების ძალას აღემატებოდა, მათ განზრახვა ჰქონიათ რაღაცა კომიტეტის დაარსება თავიანთი უფლებების და ინტერესების დასაცავად. ამ განზრახვის განხორციელება კიდეც უცდია ყოფილ მეფის ელჩს მაკლაკოვს. ამ რიგად, უნდოდათ მეორე—„საელჩოს“ დაარსება საბჭოთა წარმომადგენლობის გვერდით. ისინი ხომ არ „სცნობენ“ საბჭოთა მთავრობას!

ასეთი ორგანიზაციის შექმნა ეწინააღმდეგება როგორც საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის, ისე პარიზში საბჭოთა საელჩოს გახსნის ფაქტს, საელჩოს, რომელიც ერთად ერთია მოწოდებული დაიცვას საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა ინტერესი. ეს კიდეც განუმარტა ამხ. კრასინმა ერრიოს. და უკანასკნელმა ხსენებული კომიტეტის შექმნის საჭიროება სრულებით ზედმეტად და უადგილოდ აღიარა. რუს თეთრგვარდიელებს ერთხელ კიდევ (რამდენჯერ?!) ჩაუვარდათ კოვზი ნაცარში. და განა მარტო მათ?—ქართველი ემიგრაციის მთავარი ცენტრიც ხომ პარიზია. იქ იმყოფება „თვით“ ჟორდანიას „მთავრობა“. ამხ. კრასინი წარმომადგენელია საბჭოთა კავშირის, მაშასადამე, საბჭოთა საქართველოსიც. ამიერიდან ჟორდანია ვერ წარსდგება საფრანგეთის მთავრობის წინაშე საქართველოს „დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით“. მას თავისი „ამალით“ ალბად სხვაგან მოუხდება გადაბარგება, ან „მომაკვდავ“ მოქალაქის მდგომარეობაზე გადასვლა.

ამხ. კრასინი შეეხო აგრეთვე ვრანგელის მიერ წასხმულ და ეხლა საფრანგეთის ნავთსადგურ ბიზერტაში მყოფ ჩვენი გემების საბჭოთა მთავრობისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის საკითხს. ამ გემების ეხლანდელი მდგომარეობის შესამოწმებლად და მათი ჩასაბარებლად პარიზში ჩასულია საბჭოთა მთავრობის საზღვაო-ტექნიკური კომისია, რომელსაც უხელმძღვანელებს ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

როგორც ვიცით, ბიზერტის ფლოტის კომენდანტმა, ადმირალ ექსელმანსმა ამას წინად უარი განაცხადა მიეღო იქ მოსკოვიდან ჩასული მეზღვაურთა და ექსპერტების დელეგაცია, რომლის მიზანი იყო საფრანგეთის დახმარებით ვრანგელის მიერ ხელში ჩაგდებულ ჩვენი გემების მდგომარეობის გამორკვევა. ეს რეაქციონური ადმირალი იძულებული იყო გადამდგარიყო. მაგრამ ეს ფაქტი იმას მოწმობს, თუ რა სიძულვილს და შეურიგებლობას იჩენენ ეხლაც საბჭოთა მთავრობისადმი საფრანგეთის რეაქციონური წრეები.

მიუხედავად ამისა, გემების დაბრუნების საკითხი უკვე გადაწყვეტილია დადებითად და უახლოეს მომავალში მათ ჩვენ ჩავიბარებთ.

ამხ. კრასინს ჰქონდა ერრიოსთან საუბარი ორივე სახელმწიფოს შორის ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ. პარიზში დაარსებული იქნება საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობა, რომელიც იკისრებს ყველა სავაჭრო ოპერაციების წარმოებას. ამასთან ამხ. კრასინმა აღნიშნა, რომ სავაჭრო წარმომადგენლობა არის საფრანგეთში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილი.

ამას აქვს ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა. ჩვენ გვახსოვს, თუ როგორ გამწვავდა დამოკიდებულება გერმანიასა და საბჭოთა კავშირ შორის იმის გამო, რომ გერმანიის მთავრობას არ უნდოდა ეცნო ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობა ექსტერიტორიალობის უფლების მქონე და ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შემადგენელ დაწესებულებად. ჩვენ აგრეთვე გვახსოვს ბერლინის პოლიციის თავდასხმა საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობაზე. ეს კონფლიქტი ბოლოს და ბოლოს გათავდა საბჭოთა მთავრობის სრული გამარჯვებით, ჩვენი თვალსაზრისის მიღებით გერმანიის მიერ.

ბრძოლა წარმოებდა ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებდა სავაჭრო წარმომადგენლობა. მოსპობა ამ მონოპოლიის, ჩვენი საზღვრების და ბაზრის გახსნა გერმანიის ბურჟუაზიის კაპიტალის უკონტროლო შემოსევისათვის, ამ გზით ჩვენი ეკონომიური დამორჩილება,—აი, მიზანი გერმანიის (და საერთოდ ყველა ქვეყნის) ბურჟუაზიის. მაგრამ, როგორც ვსთქვით, საბჭოთა მთავრობამ ამ საკითხში იოტის ოდენა არ დასთმო და გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა ეცნო ჩვენი საგარეო ვაჭრობის მონოპოლია და ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის სათანადო უფლებები.

ცხადია, საფრანგეთთან დამოკიდებულებაშიც ჩვენ სხვა გზას ვერ დავადგებოდით. ეს ერთი ძირითადი პირობათაგანია, ურომლისოდ ჩვენი შეთანხმება და ეკონომიური ურთიერთობის აღდგენა ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან შეუძლებელია. და საფრანგეთიც იძულებული იქნება ამას ანგარიში გაუწიოს.

მეტად ფართო პერსპექტივები იშლება ჩვენსა და საფრანგეთ შორის სავაჭრო ურთიერთობის დარგში.

საბჭოთა მთავრობის საიმპორტო გეგმაში შედის სამრეწველო მოწყობილობის საგნების, სასოფლო-სამეურნეო იარაღების და სხვა ქლითონის ნაკეთობის შემოზიდვის გადიდება, სწორედ ეს საგნები შეადგენენ საფრანგეთის ექსპორტის საგანს.

მეორე მხრივ საფრანგეთი მეტად საჭიროებს პურის პროდუქტებს, ტყეს, ნავთს, სელს და სხვა ნედლეულს. ეს საგნები კი ჩვენ ბლომად მოგვეპოვება და მათი შეძენა საფრანგეთს შეუძლია უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინემ სხვაგან.

ამრიგად ორივე სახელმწიფოს ინტერესები დაჟინებით მოითხოვენ ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის აღორძინება-გაფართოვებას.

დღემდე ამას ხელს უშლიდნენ პოლიტიკური მიზეზები. ჩვენი იურიდიული ცნობამ, ელჩების დანიშვნამ, სავაჭრო წარმომადგენლობის მოწყობამ,—ყველაფერ ამან უნდა დააჩქაროს „სადაო საკითხების“ მოგვარება და საერთო ნორმალური ურთიერთობის აღდგენა. უამისოდ, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნება რიგიანი სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგება.

ქალთა შრომა

ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალები შედარებით ცოტანი არიან ჩაბმული. ამ ბოლო დროს დაიწყეს ამის წინააღმდეგ ზომების მიღება. ერთ ზომათ, რომელსაც ეხლა ხმარობენ ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩასაბმელად, ითვლება სხვადასხვა ორგანიზაციებში ქალების განსაზღვრული პროცენტის გაყვანა არჩევნების დროს.

ქალების ასეთი მექანიკური მიმაგრება საზოგადოებრივ მუშაობისადმი არსებითად მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის საკითხს ვერ გადასწყვეტს.

უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა გამოვნახოთ ის მიზეზი, რომელიც ხელს უშლის ქალების საზოგადოებრივ მუშაობაში ფართოთ ჩაბმას. როცა ეს მიზეზი აღმოჩენილი და მოსპობილი იქნება, საკითხი თავის-თავად გადაიჭრება და აღარ იქნება საჭირო ისეთი მექანიკური ზომები, როგორც არჩევნების დროს ქალების განსაზღვრული პროცენტის გაყვანა და სხ.

ცხადია, რომ საზოგადოებრივ ორგანოებში ქალების სიმცირე, არ შეიძლება აიხსნას მათი უფლებრივი მდგომარეობით. საბჭოთა ხელისუფლებამ არ იცის უფლებრივი განსხვავება სქესის მიხედვით. რა უფლებები აქვთ მამაკაცებს, ისეთივე უფლებები აქვთ დედაკაცებსაც. მათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

მიზეზი უნდა ვეძიოთ მხოლოდ იმაში, რომ წარმოებებში ქალები ნაკლებათ არიან ჩაბმული მამაკაცებთან შედარებით. წარმოება-კი ჩვენში საზოგადოებრივი ცხოვრების უმთავრესი წყაროა. საბჭოები, პროფესიონალური კავშირები, და პარტიული ორგანიზაციები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები თავის აქტიურ წევრებს წარმოებიდან იღებენ. წარმოება არის ჩვენი საზოგადოებრივი ძალების წყარო. ქალების საზოგადოებრივ ორგანოებში სიმცირის მიზეზიც წარმოებებში უნდა ვეძიოთ.

წარმოებაში ჩაბმულ მუშა-ხელის განხილვა გვიჩვენებს, რომ ქალების რიცხვი მამაკაცებთან შედარებით ძალიან ცოტა არის. ომის განმავლობაში თითქმის ყველა საწარმოო დარგებში ქალების რიცხვმა იმატა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო. შემდეგში ქალების რიცხვი შემცირდა და ეხლაც თანდათანობით კლებულობს. ამ უკანასკნელ დროს ქალების შრომის შემცირების ტენდენციამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო; უმუშევარ ქალთა რიცხვი თანდათან მატულობს.

წარმოებაში ქალების შრომის შემოკლების წინააღმდეგ ბრძოლას ბევრი ფიქრობს ადმინისტრატიული ზომებით, როგორც, მაგალითად, დადგენილების გამოცემა ქალების შემოკლების აკრძალვის შესახებ, ან და ყველა წარმოება-დაწესებულებათათვის ქალების განსაზღვრული სავალდებულო პროცენტის დაწესება და სხვა. ასეთი ადმინისტრატიული ზომები უნდა ჩაითვალოს არა მიზანშეწონილად და ისინი მხოლოდ ქაღალდზე დარჩებიან. საკითხი უნდა იქნეს დასმული სულ სხვანაირად. უნდა გამოვარკვიოთ, თუ რატომ ხდება ქალების შრომის შეცვლა მამაკაცების შრომით.

თუ კარგათ დაუკვირდებით საქმეს, ჩვენ დავინახავთ, რომ ქალების შემცირება წარმოებაში არის ჩვენი მეურნეობის ჯანსაღ ნიადაგზე დაყენების შედეგი. სახელდობრ—გაჯანსაღდა ჩვენი მიდგომა მუშა-ძალის შერჩევის საქმეში: თუ აქამდე მიღება-დათხოვნის დროს ხელმძღვანელობდენ სოციალური უზრუნველყოფის მოტივებით, ეხლა ხელმძღვანელობენ ეკონომიური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით: ესე იგი მიღება-დათხოვნის დროს ირჩევენ მათ, ვისი შრომაც მეტ ნაყოფიერებას მოიტანს. ეხლა წარმოებაში თავი ეყრება ისეთ მუშა-ძალას, რომელიც უფრო კვალიფიციური და ახელოვნებული არის. ქალების შრომა მის ეხლანდელი დაბალი ხარისხის გამო ეკონომიურათ უფრო ნაკლები სასარგებლოა, ვიდრე მამაკაცის, ამიტომ არის, რომ ქალების რიცხვი წარმოებაში ამ ბოლო დროს მცირდება.

მაგრამ აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ საჭიროა წარმოებიდან ქალების შრომას განდევნა. პირიქით, **ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ ქალების რიცხვი წარმოებაში არამც თუ არ შემცირდეს, არამედ კიდეც იმატოს.** ამას აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. მაგრამ ამას ჩვენ მოვახერხებთ ადმინისტრატიული და იძულებითი ზომებით კი არა, არამედ იმით, რომ **ქალების შრომას ჩვენ გავხდით ეკონომიურად სასარგებლოთ,** ქალების დათხოვნის აკრძალვა ან მათი განსაზღვრული პროცენტის სავალდებულო ყოლა და სხვა ამგვარი იძულებითი ზომები არ გამოგვადგება. მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ქალების შრომის გაჯანსაღებას. სახელდობრ, უნდა იქნეს მიღებული ზომები მუშა-ქალების კვალიფიკაციის გაზრდისათვის. ახლა ძალიან იშვიათად შეხვდებით კვალიფიციონურ მუშა-ქალს, უმეტეს ნაწილად ქალები დაბალ კვალიფიკაციას ეკუთვნიან. მუშა-ქალების კვალიფიკაციის გაზრდის მიზნით საჭიროა, რომ არსებულ საქარხნო-სახელოსნო სკოლებში მეტი რიცხვი დაეთმოს ახალგაზრდა ქალებს. შეიძლება სხვა ზომების მიღებაც.

ამასთან ერთად უნდა გადასინჯული იქნას ქალთა შრომის კანონმდებლობითი მოწესრიგება. ჩვენი შრომის კანონდებულებას, მისი გამომუშავების დროს, ქალთა შრომის მოწესრიგების საკითხში დაედვა საფუძვლად ის ფიზიკური უთანასწორობა დედაკაცსა და მამაკაცს შორის, რომელიც ეხლა არსებობს. ამისდა მიხედვით დაწესებულ იქნენ ისეთი ნორმები, რომელნიც ამ განსხვავებას ადასტურებენ, იმის მაგივრათ, რომ ხელი შეუწყონ სქესობრივ-ფიზიკურ უთანასწორობის შენელებას. მაგალითად, არსებულ შრომის კანონდებულებას გათვალისწინებული აქვს პროფესიათა მთელი რიგი, სადაც დედაკაცთა შრომა აკრძალულია, უმთავრესად ეს პროფესიები ეკუთვნიან კვალიფიციურ მუშაობის დარგს. ამას გარდა კანონით აკრძალულია დედა-კაცების ღამით მუშაობა და სხ. ყველაფერი ეს ხელს უშლის წარმოებაში ქალების შრომის სრულ გამოყენებას და ხდის მას ეკონომიურად უფრო უსარგებლოთ, ვიდრე მამაკაცების შრომას. ამ ჟამად ქალთა შრომის მომწესრიგებელი ნორმები იშინჯებიან. მათ გადასინჯვის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არა ძველი დახავსებული შეხედულობა ქალების შრომაზე, რომელიც აგებული იყო სქესობრივ-ფიზიკურ უთანასწორობაზე, არამედ უფრო სალი შეხედულობა, რომელიც მიმართული იქნება ამ უთანასწორობის შენელებისაკენ.

ქალთა შრომის შესასწავლად ამ ჟამად ეწყობიან სპეციალური კომისიები შრომის ორგანოებთან. ამ კომისიების მუშაობას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მათი მუშაობა უმთავრესად უნდა გამოიხატებოდეს ქალთა შრომის დღევანდელ მდგომარეობის გამოკვლევაში. როცა ეს მუშაობა ჩატარდება და ყოველმხრივათ გამორკვეული იქნება ქალების შრომის ეხლანდელი მდგომარეობა, შეძლება მოგვეცემა საერთო ხასიათის დასკვნები გამოვიტანოთ ქალების შრომის გასაჯანსაღებლად სათანადო ზომების მიღებაზე.

ამის შემდეგ საკითხი ქალების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმის შესახებ თავის თავად გადაიჭრება და საჭირო აღარ იქნება იმ მექანიკურ-ადმინისტრატიულ ზომების მიღება, რასაც ეხლა ადგილი აქვს. საჭიროა მოვსპოთ მიზეზი და შედეგი თვითონ მოისპობა.

ხ. ვ.

საბჭოთა ადმინისტრატიულ და სავაჭრო-კოოპერატიულ აპარატთან დაახლოვებისათვის

(საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სრულიად საქ. ყრილობისათვის.)

ხვალ გაიხსნება საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის სრულიად საქართველოს მე-4 ყრილობა.

ყველასათვის უდავო უნდა იყოს ის, რომ როლი ამ კავშირისა, რომელშიაც ირიცხება 16 ათასზე მეტი წევრი, ადმინისტრატიულ-საბჭოთა და სავაჭრო-კოოპერატიული აპარატის გაჯანსაღების საქმეში იმაზე ნაკლებ მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე ინდუსტრიალური კავშირების როლი ჩვენი მრეწველობის გაჯანსაღების და განვითარების საქმეში. რა თქმა უნდა, თავის ამ ძირითად მუშაობის სფეროში კავშირმა ბევრი რამ გააკეთა. საბჭოთა მუშაკების კავშირის დიდი დამსახურება მდგომარეობს იმაში, რომ შოვინისტურათ განწყობილ ინტელიგენციის და მოხელეების დიდმა ნაწილმა „პირი იბრუნა“ საბჭოთა ხელისუფლებისაკენ; მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, რადგან ჩვენს სახელმწიფო დაწესებულებებში ჯერ კიდევ არიან დარჩენილი ისეთი ელემენტები, რომლებისთვისაც საბჭოთა სისტემა მიუღებელია. საბჭოთა მუშაკების კავშირი ისევე უნდა დაინტერესდეს შრომის ნაყოფიერების პრობლემებით, როგორც ამით დაინტერესებული არიან სხვა პროფკავშირები, რადგან კანცელიარიებში საქმის გაჭიანურება და საქმისადმი ჩინოვნიკური დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ არის საბოლოოთ აღმოფხვრილი.

კიდევ უფრო მეტი მუშაობა მოელის კავშირს კერძო ბაზარის დაპყრობის და კოოპერატიული და სახელმწიფო ვაჭრობის აპარატების გაჯანსაღების საქმეში.

რამდენათაც ჩვენი მრეწველობის განვითარება ჩქარის ტემპით მიმდინარეობს, იმდენათ მისი ინტერესები მჭიდროთ უკავშირდება კოოპერატიულ და სახელმწიფო ვაჭრობის ინტერესებს; ეს გარემოება მოითხოვს სახელმწიფო ვაჭრობის და კოოპერაციის სავაჭრო აპარატების რაციონალურათ დაყენებას, რადგან ამ აპარატების საშუალებით უნდა მოხდეს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის შეტანა მუშათა და გლეხთა მასებში და ამ საკითხში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საბჭოთა მუშაკების კავშირმა, რომელმაც უნდა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ სავაჭრო-კოოპერატიული დარგის მოსამსახურემ სათანადო ამხანაგობა და დახმარება გაუწიოს ინდუსტრიალურ მუშას მისი შრომის პროდუქციის განაწილების საქმეში.

ბევრი რამ გააკეთა კავშირმა თავისი წევრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. 1923—24 სამეურნეო წელმა, რომელიც უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე წარსული წელი, საშუალება მისცა კავშირს შესამჩნევათ გაეუმჯობესებია როგორც სახელმწიფო მოსამსახურეების, ისე კოოპერაციის, საკრედიტო დაწესებულებების, სამეურნეო ორგანიზაციების და ქალაქის აღმასკომის მოსამსახურეთა შრომის ხელფასი.

უკანასკნელი ოთხი ჯგუფის საშუალო ხელფასი ეხლა შეადგენს 64 მანეთს. სახელმწიფო მინიმუმი 5 მან. 20 კაპ. გადიდებულია 7 მანეთამდი. მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ მოსამსახურეთა მდგომარეობა მაინც გაუმჯობესებას მოითხოვს, განსაკუთრებით იუსტიციის სახალხო კომისარიატში, სადაც გამასწორებელი სახლების მოსამსახურეები, რომლებიც მძიმე მუშაობას ეწევიან, მეტათ მცირე ჯამაგირს იღებენ.

შრომის ხელფასის გათანასწორება და მისი გადიდება იქ, სადაც ეს ობიექტიურათ შესაძლებელია, როგორც სჩანს აქამდი საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის მორიგ ამოცანათ რჩება.

მწვავეთ სდგას საკითხი უმუშევრობის შესახებ საბჭოთა მუშაკების პროფკავშირის წევრებს შორის; უმუშევართა რიცხვი, საბჭოთა დაწესებულებების აპარატის შემცირების გამო, თანდათან იზრდება.

მათი მდგომარეობა ამ ჟამათ, და აგრეთვე უახლოესი პერსპექტივები, გაცილებით უარესია, ვიდრე საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის უმუშევართა მდგომარეობა, რომლებიც თანდათან უბრუნდებიან ისევ სამუშაოს მრეწველობის ზრდის გამო. კავშირის უმუშევარ წევრების მდგომარეობას კიდევ უფრო აუარესებს მუშა ხელის იძულებითი დაქირავების (შრომის ბირჟის საშუალებით) გაუქმება. ამიტომ კავშირმა შემდეგში კოლექტიური ხელშეკრულებების დადების დროს მათში უნდა შეიტანოს ისეთი მუხლი, რომლის მიხედვით სამეურნეო ორგანოებმა და კოოპერაციამ მოსამსახურეების დაქირავების დროს პირველ რიგში უნდა მიიღონ კავშირის უმუშევარი წევრები.

ყველა ეს საკითხები, და აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხები, თავის თავად ისმება საბჭოთა მუშაკების ყრილობის წინაშე, რომელიც ეხლა იხსნება, და ყრილობამ მათ შესახებ უნდა სთქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა.

ამას წინათ შემდგარმა სრულიად საკავშირო მე-6 ყრილობამ მოგვცა საერთო ლოზუნგი—„დაუახლოვდეთ მეურნეობას“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ლოზუნგს საბჭოთა მუშაკების კავშირის ყრილობამ უნდა დაუმატოს მეორე ლოზუნგი: „უნდა დაუახლოვდეთ საბჭოთა ადმინისტრატიულ და სავაჭრო-კოოპერატიულ აპარატს“

ი. ქ.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

ამხ. კრასინმა ინახულა ერრიო და გადასცა მას რწმუნების სიგელი

ამხ. კრასინს პარიზში ჩაუვა სპეციალური კომისია, რომელიც ჩაიბარებს თეთრგვარდიელების მიერ წაყვანილ გემებს.—ერრიომ განაცხადა, რომ ის კმაყოფილია საბჭოთა კავშირის ელჩის ჩასვლით პარიზში.—სავაჭრო წარმომადგენლობას სათავეში უდგას ამხ. მდივანი.—პოლონეთის სეიმმა დაამტკიცა სარკინიგზო და საფოსტო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან.—საბჭოთა კავშირი მიიწვიეს ლიონის გამოფენაზე.

რუმინეთის გლეხები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის ცნობას.

ამხ. კრასინის შეხვედრა ერრიოსთან

პარიზი. 6 დეკემბერი. დღეს დილით ერრიომ მიიღო კრასინი, რომელსაც თან ახლდა ვოლინი. კრასინმა გადასცა საფრანგეთის პრემიერს რწმუნების სიგელები. საუბარი გაგრძელდა 20 წუთს.

პარიზი. 7 დეკ. 6 დეკემბერს, დილით, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში კრასინი მიიღო საფრანგეთის პრემიერმა ერრიომ. მიესალმა რა ერრიოს, როგორც საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელს, რომელმაც ყოველგვარ პირობის გარეშე იცნო იურიდიულათ საბჭოთა კავშირი, კრასინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობისაგან მას დავალებული აქვს მიიღოს ყველა ზომები, რომ რაც შეიძლება მეგობრული ურთიერთობა იქნეს დამყარებული ორივე სახელმწიფოებს შორის.

ერრიომ, უპასუხა რა კრასინს, განაცხადა, რომ ის კმაყოფილია, რომ დღესაც პარიზში ხედავს საბჭოთა კავშირის ელჩს. შემდეგ მან აღნიშნა, რომ თავის პოლიტიკაში საბჭოთა კავშირის მიმართ ის სისწორით იცავს იმ პრინციპებს, რომლებიც გადაუშალა მან საბჭოთა მთავრობის სივრდასხვა წევრებს მოსკოვში ყოფნის დროს. თუ მან საბჭოთა კავშირი არ იცნო დაუყოვნებლივ პრემიერის თანამდებობის მიღების შემდეგ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას სასწრაფოდ გადასაწყვეტი ჰქონდა მთელი რიგი სხვა საკითხები, ცნობა მოხდა დაუყოვნებლივ მის შემდეგ, რობესაც ინგლისთან დამთავრდა მოლაპარაკება გერმანიის შესახებ.

შეეხო რა ხმებს იმის შესახებ, რომ განზრახულია დაარსებული იქნეს სპეციალური კომიტეტი იმ ყოფილ რუს მოქალაქეების უფლებების და ინტერესების დასაცავათ, რომლებიც გადასახლდენ საბჭოთა კავშირიდან და ეხლა საფრანგეთში სცხოვრობენ, კრასინმა განაცხადა, რომ ასეთი ორგანიზაციის დაარსება ეწინააღმდეგება საბჭოთა კავშირის ცნობას და პარიზში საბჭოთა საელჩოს გახსნის ფაქტს; საბჭოთა კავშირის მოქალაქეების ინტერესების ერთად ერთი დამცველია საბჭოთა საელჩო. ერრიომ განაცხადა, რომ ყოფილი მეფის მთავრობის ელჩმა მაკლაკოვმა გადადგა ნაბიჯები ამ მიმართულებით, მაგრამ საფრანგეთის მთავრობა და თვითონ ის ფიქრობენ, რომ საფრანგეთში მომქმედი კანონები საკმაოთ იცავენ იმ პირების ინტერესებს უფლებებს, რომლებსაც უფლება აქვთ იცხოვრონ საფრანგეთის ტერიტორიაზე. მაშასადამე, ასეთი ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობა მოხსნილია.

შეეხო რა საკითხს ეკონომიური ურთიერთობის განვითარების შესახებ ორივე სახელმწიფოებს შორის, კრასინმა ერრიოს აცნობა, რომ უახლოეს დღეებში განზრახულია დახურული იქნეს სააქციონერო საზოგადოება „არკოს“-ის პარიზის განყოფილება; **ყველა სავაჭრო ოპერაციებს იკისრებს სავაჭრო წარმომადგენლობა, რომელსაც მეთაურობს მდივანი. კრასინმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სავაჭრო წარმომადგენლობა იქნება საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილი.**

ვინაიდან სასწრაფოთ უნდა იქნეს გადაწყვეტილი საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოთა მთავრობას დაუბრუნდეს ის სამხედრო გემები, რომლებიც თავის დროზე წაყვანილი იყო ვრანგელის მიერ და რომლებიც ეხლა ბიზერტში იმყოფებიან, კრასინმა ერრიოს აცნობა, რომ პარიზში ჩაიდა საზღვაო ტექნიკური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელის ხელმძღვანელობით შემოწმოს იმ გემების მდგომარეობა, რომლებიც ბიზერტში იმყოფებიან, ჩაიბაროს ისინი და გაგზავნოს საბჭოთა კავშირის ნავთსადგურებში, ანდა უცხო სახელმწიფოების მახლობელ ნავთსადგურებში იმ მიზნით, რომ ისინი შეკათებული იქნეს. ერრიომ ურჩია კრასინს, რომ საბჭოთა კავშირის კომისიამ დაუყონებლივ მოელაპარაკოს საფრანგეთის საზღვაო დეპარტამენტს იმ მიზნით, რომ მიღებული იქნეს საჭირო ზომები.

ამხ. კრასინი და დე-მონზი

პარიზი. 7 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა საფრანგეთში კრასინმა და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირველმა მდივანმა ვოლინმა ინახულეს სენატორი დე-მონზი.

რუმინეთის გლეხობის ხმა

ვენა. 7 დეკემბერი. რუმინეთის პალატაში გამართულ კამათის დროს გლეხთა პარტიის ლიდერმა ლუპუმ აღნიშნა მთელს სახელმწიფოში გამეფებული ტერორი. ლუპუმ აღნიშნა, რომ **მხოლოდ ხოფლებში მთავრობა ინახავს 50.000-ზე მეტ ჟანდარმსა,** რაც შეეხება რუმინეთის საგარეო პოლიტიკას—განაცხადა ლუპუმ,—მისი მდგომარეობა კრიტიკულია იმ მცრული პოზიციის გამო, რომელიც რუმინეთის მთავრობამ დაიკავა საბჭოთა კავშირის მიმართ. ერთად ერთი გამოსავალია—საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება, ვინაიდან ომის საწარმოებლათ რუმინეთს არ მოეპოვება არც მატერიალური და არც მორალური ძალები.

მიწვევა ლიონის გამოფენაზე

ხარკოვი. 6 დეკემბერი. საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა მიიღო ლიონის გამოფენაზე მისაწვევი ბარათი. გამოფენა გაიხსნება მომავალი წლის მარტში.

დამოკიდებულება იაპონიასთან

ტოკიო. 6 დეკემბ. გუშინ იაპონიის მთავრობა კვლავ არჩევდა იაპონიის და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხს. მთავრობამ შეიმუშავა ახალი ინსტრუქციები იოშიზავასათვის.

იაპონიის პრესა აცხადებს, რომ ამ თათბირზე შემუშავებული იაპონიის წინადადებები არის „საბოლოო“ და თუ საბჭოთა კავშირი კვლავ დარჩება თავის შეურიგებელ პოზიციაზე, მაშინ იაპონია უარს იტყვის მოლაპარაკებაზე. მთავრობას ძალიან უძნელდება საკითხი სახალინის ევაკუაციის შესახებ; სამხედრო წრეების აზრით, ევაკუაცია ვერ განხორციელდება. მაგრამ პრესის სიტყვით, იაპონიას შეუძლია გადასცეს საბჭოთა კავშირს სახალინის რუსეთის ნაწილი იმ პირობით, რომ იქ დარჩება გარნიზონი მანამდე, სანამ ევაკუაცია შესაძლებელი გახდებოდეს.

ურთიერთობა პოლონეთთან

ვარშავა. 6 დეკემბერი. სეიმმა დაამტკიცა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საფოსტო-სატელეგრაფო და და სარკინიგზო კონვენცია. მომხსენებელმა საფოსტო-სატელეგრაფო კონვენციის შესახებ განაცხადა, რომ დროებით არ იქნება აღდგენილი სატელეფონო დამოკიდებულება და აგრეთვე არ გადაიგზავნება გაზეთები, სასწრაფო ამანათები და თანხები.

ამხ. სადულის დაპატიმრების შემდეგ

რატომ ჩავიდა სადული პარიზში.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. სადულის დაპატიმრების გამო „როსტას“ თანამშრომელი ესაუბრა მარტის და მოსკოვში ამას წინად ჩასულ მარენის —საფრანგეთის კომპარტიის მდივანს.

მათ განაცხადეს, რომ სადულის პარიზში ჩასვლის მიზანი იყო მისი პროცესის გადასინჯვა, რადგან მას დაუსწრებლათ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა. ამ ჟამად საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო, ამ პროცესის გადასინჯვის მომენტი სადულის რეაბილიტაციის ან მასზე ამნისტიის გავრცელების მიზნით ფრიად ხელსაყრელია.

„სხვათა შორისო“, განაცხადა მარენმა, „საქმე ეხება არა იმდენად სადულის პიროვნებას, რამდენადაც საერთო პოლიტიკურ ამნისტიას. საფრანგეთის პარტია ებრძვის გარეშე, იბრძოლებს და მოუწოდებს მუშათა კლასს იბრძოლოს არა მარტო სადულის, არამედ ყველა დაპატიმრებულ პროლეტარულ მებრძოლების განთავისუფლებისათვის ისევე, როგორც იგი იბრძოდა საფრანგეთის შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა გასანთავისუფლებლათ.“

მარტი ფიქრობს, რომ ერრიო არ დაუშვებს ამ ჟამად აწარმოონ ისეთივე აგიტაცია სადულის განთავისუფლებისათვის, როგორსაც აწარმოებდენ მარტის და სხვა მეზღვაურების განთავისუფლების სასარგებლოთ. ერრიო ან გაანთავისუფლებს სადულს პირველი დაკითხვისთანავე გასამართლებამდე, ან საჩქაროთ ჩაატარებს სასამართლოს პროცესს, რათა შედარებით უფრო ლმობიერ განაჩენის შემდეგ სავსებით გაანთავისუფლოს ის.

ვინ არის სადული

პარიზი. 6 დეკემბერი. სადული პროფესიით ვექილია. ომამდე ის იყო საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის წევრი. სადული, მომარაგების მინისტრის ალბერტ-ტომას პირადი მეგობარი, ომის დროს გაგზავნილი იყო რუსეთში ტომას მიერ სამხედრო მისიაში, ინფორმატორად. სადული მაშინ გაწვეული იყო მობილიზაციით კაპიტნის ჩინით.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ სადულმა დაიჭირა ურთიერთობა ბოლშევიკებთან. პირველათ მისი პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენ, რათა გამოეყენებია ბოლშევიკები ომის მიზნებისათვის. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭოსთან ურთიერთობის დროს ის იცავდა საფრანგეთის მთავრობის ინტერესებს. საფრანგეთის მისიაში ის ახასიათებდა ბოლშევიკებს როგორც ისეთ ძალას რომელსაც შეუძლია განაგრძოს ომი. თანდათან სადული დაუახლოვდა ბოლშევიკებს.

1919 წელს სადული დაესწრო კომინტერნის პირველ კონგრესს საფრანგეთის კომუნისტების ერთი ჯგუფის სახელით. კომინტერნის მეორე კონგრესზე, 1920 წელს სადული დაესწრო საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის (საფრანგეთის კომპარტია ჯერ კიდევ არ არსებობდა) სახელით. ამის შემდეგ სადული სცხოვრობდა საზღვარ-გარეთ და მუშაობდა საფრანგეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით.

1919 წელს სადულს საფრანგეთში მის დაუსწრებლათ მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის დაჭერისათვის.

ამხ. სადულის გაასამართლებენ ორლეანში.

პარიზი. 7 დეკემბერი. ჰავასის სააგენტო იტყობინება რომ სადული გადაუყვანილია ქალაქ ორლეანის ციხეში. ამ ქალაქში გაასამართლებს მას სამხედრო სასამართლო.

ბრძანება ამხ. გილბოს დაპატიმრების შესახებ.

პარიზი, 7 დეკემ. პოლიციამ მიიღო ბრძანება დააპატიმროს კომუნისტი ანრი გილბო, რომელსაც თითქოს განზრახული აქვს საფრანგეთში დაბრუნდება.



ამხ. გილბო.

გილბოს 1919 წელს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან კავშირის დაჭერისათვის.

საფრანგეთის კომპარტიის მოთხოვნილება.

პარიზი. 7 დეკემბერი. საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ სადული უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში არ ყოფილა საბჭოთა კავშირში და პარიზში ჩამოვიდა საკუთარი ინიციატივით. ის გარემოება, რომ სადულის დაბრუნება იმ დროს მოხდა, როდესაც კრასინი პარიზში ჩავიდა, შემთხვევითი მოვლენაა. სადული რომ კომპარტიას მიეწვია საფრანგეთში, მაშინ მას ასე ადვილათ ვერ დააპატიმრებდენ. **საფრანგეთის კომპარტია მოითხოვს როგორც სადულის, ისე კლასიური სასამართლოს ყველა მსხვერპლთა განთავისუფლებას. საფრანგეთის კომპარტია ამ დღეებში პარიზის რაიონებში მოაწყობს დემონსტრაციას, რომლის ლოზუნგი იქნება სადულის და ყველა პოლიტიკური პატიმრების განთავისუფლება.**

საფრანგეთის კომპარტიაში

პარიზი. 7 დეკ. 5 დეკემბერს პარიზში გაიხსნა კომუნისტურ პარტიის საგანგებო კონფერენცია. კონფერენციაზე წარმოდგენილ ია 43 პროვინციალური ფედერაცია, პარიზის ოლქის 34 რაიონი და ლენინიზმის სკოლა.

დორიომ, ტრენმა, სელსმა, დარიზმა დოკუმენტებით ხელში გაამჟღავნეს მონატის, როსმერის და დელაგარდის მარჯვენივ გადახრა და დაგმეს უკანასკნელთა საქციელი, რომელიც მიმართული იყო კომპარტიის და პროლეტარიატის წინააღმდეგ. ორატორები მოითხოვდნენ პარტიიდან სამივე წევრის გამორიცხვას. მოისმინა რა მონატის და როსმერის განცხადება, რომელთაც გამოიჩინეს კომუნიზმის იდეოლოგიის და ამოცანების სრული უკოდინარობა, კონფერენციამ ერთხმად (ორმა თავი შეიკავა) მხარი დაუჭირა მათ გამორიცხვას.

6 დეკემბერს სემარმა გააკეთა მოხსენება პროფმოძრაობის ერთიან ფრონტის შესახებ ნაციონალური და საერთაშორისო მაშტაბით. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა მხარი დაუჭირონ ამსტერდამის მემარცხენე ფრთას.

შემდეგ დიუპონმა გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ხოლო სუსანა ჟირომ გააკეთა მოხსენება კომუნიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიის, მემარცხენე ბლოკის და ერრიოს მთავრობის ბრძოლის შესახებ.

პარიზის ოლქის პროვინციალურ ფედერაციების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებათა თეზისებს, რამაც დაამტკიცა პარტიაში არსებული ერთსულოვნება.

მშრომელთა აჯანყება ესტონეთში

გლეხები ბრძოლას განაგრძობენ.

ლენინგრადი. 6 დეკ. მგზავრები, რომლებიც ჩამოვიდნენ რეველის მატარებლით, იუწყებიან, რომ 4 დეკემბერს რეველის მახლობლად ერთ-ერთ სოფელში დაიწყო გლეხების აჯანყება. აჯანყება მალე ჩაქრეს სამხედრო ნაწილებმა, რომლებიც გამოიწვიეს რეველიდან; ჟანდარმებმა დაწვეს გლეხების სახლები.

აჯანყების მეთაურთა დაპატიმრება.

რეველი. 6 დეკ. ესტონეთის „ოხრანკის“ ცნობით 6 დეკემბერს ღამით ესტონეთის საიდუმლო პოლიციამ მიიღო ცნობა, რომ სოფელ ნეხატოსში რეველიდან 10 ვერსის დაშორებით, გლეხ ტუშის სახლში იმალებიან აჯანყების მეთაურებიო. იქ გაიგზავნა პოლიციის გაძლიერებული რაზმი, რომელსაც დამალულებმა აუტეხეს სროლა. ხანგრძლივი სროლის შემდეგ პოლიციამ მიმართა ყუმბარებს.

როდესაც პოლიცია შევიდა სადგომში, ერთ-ერთ ოთახში აღმოჩნდა მოკლული პირველი სახელმწიფო კრების ყოფილი დეპუტატი კომუნისტი ალლიქსი. მეორე ოთახში აღმოჩნდა მეორე მოკლული ახალგაზრდა, ტყავის ხალათში, ფართე სარტყელით. მასში იცნეს კომუნისტი ზემერლინგი. პოლიციის სიტყვით, ზემერლინგი ხელმძღვანელობდა აჯანყებას. მესამე ოთახში ნახეს მოკლული კაცი, რომელიც ჰგავს კომუნისტ ანველტს: დანამდვილებით თქმა იმისა, რომ ის არის ანველტი, შეუძლებელია, რადგან მოკლული ძლიერ არის დასახიჩრებული.

ა | წ. 10 დეკემბერს დილის 10 საათ. ს. ფ. კ. ს. დიდ დარბაზში

მოწვეულია
სრულიად საქართველოს
საბჭოთა მუშაკების მეოთხე
ყრილობა

დღის წესრიგი:

1. ცენტრალურ გამგეობის მოხსენება-ანგარიში თავის მოღვაწეობის შესახებ.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. მიმდინარე მომენტი.
4. კავშირის ამოცანები საორგანიზაციო დარგში.
5. სატარიფო-ეკონომიური საკითხი.
6. კულტურული მუშაობის შესახებ.
7. ცენტრალური გამგეობის, სარევიზიო კომისიის და დელეგატების არჩევნები სრულიად საკავშირო ყრილობაზე.
8. მიმდინარე საკითხები.

პ | მ. მდივანი მინახი
საქმეთა მმართველი დევდარიანი

დღეს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში მოწვეულია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პლენუმი

თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი რუბენი

ოთხშაბათს, ა. წ. 10 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში (ოთახი №1) დანიშნულია აღმასკომის პლენუმის

მორიგი სხდომა

დღის წესრიგი: 1) საბინაო საკითხი.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

ნის. 348. 3—2 პრეზიდიუმი.

გერმანიაში დაიწყო არჩევნები.

არჩევნები რეიხსტაგში

ბერლინი. 8 დეკემბერი. მიღებულია პირველი ცნობები რეიხსტაგში არჩევნების შესახებ. ჯერ-ჯერობით არჩეულია 62 სოციალ-დემოკრატი, 87 ნაციონალისტი, ცენტრის პარტიის—24, სახალხო პარტიის—22, კომუნისტი—14, ბავარიის სახალხო პარტიის—8, დემოკრატი—7, სამეურნეო პარტიის—2.

საარჩევნო კამპანია

ბერლინი. 8 დეკ. გუშინ საღამოს ბერლინში საარჩევნო აგიტაციამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მოხდა რამდენიმე შეტაკება ნაციონალისტებს და რესპუბლიკანელებს, ტევტონელებს ერთი მხრივ და მეორე მხრით კომუნისტებს შორის. ტევტონელებმა ჰალეში იერიშით აიღეს პროფკავშირების სახლი და გაანადგურეს მთელი ავეჯეულობა. ბერლინის ცენტრალურ ნაწილში დიდძალი ხალხი ელოდება არჩევნების შედეგს, რომელიც ეცნობება ხალხს სიგნალის საშუალებით. ქალაქის პროლეტარულ უბანში ღამის 11 საათზე უკვე სიწყნარე იყო. ხმის დათვლა ძლიერ ნელა სწარმოებს. ლეიპციგის ოლქში კომუნისტებმა დაკარგეს ხმის 20 პროცენტი. ყველგან შემჩნეულია სოციალ-დემოკრატების ხმების ზრდა. ტევტონელების დამარცხება კატასტროფიულია.

85 ოლქში.

ბერლინი, 8 დეკ. პრუსიის ლანდტაგის არჩევნების შედეგი ასეთია: გაიზარდა ნაციონალისტების და სოციალ-დემოკრატების დეპუტატთა რიცხვი. რეიხსტაგში ჯერ-ჯერობით 85 ოლქში არჩეულია: 86—სოციალ-დემოკრატი, 62—ნაციონალისტი, 36—ცენტრის პარტია, 28—კომუნისტი, 27—სახალხო პარტია, 5—ტევტონელი, 15—დემოკრატი და 10—ბავარიის სახალხო პარტია.

ბერლინი. 7 დეკ. ბერლინის დასავლეთ ნაწილში—მთავარი ქუჩების ცენტრში გაჩაღებულია საარჩევნო ბრძოლა. ეხლანდელი არჩევნები მაისის არჩევნებისაგან განსხვავდება მით, რომ თითქმის არ ჩანან საარჩევნო პლაკატები, სამაგიეროთ სწარმოებს ფართო პროპაგანდა დროშებით მორთულ ავტომობილების და მატოციკლეტების საშუალებით, რომლებიც მიჰყვებიან პროცესიებს.

ქალაქის დასავლეთ ნაწილში და კურფიურსტენდამში სწარმოებს გაფთრებული ბრძოლა მონარქისტებსა და რესპუბლიკანელებს შორის, ქუჩები სავსეა მოწოდების ფურცლებით და სხვ. ქალაქის ცენტრში და მუშათა რაიონებში საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობას ღებულობენ კომპარტიის ავტომობილები. ზოგიერთ ადგილას კედლებზე გაკრულია ლენინის პორტრეტები. მაგრამ მიუხედავად ქუჩების გამოცოცხლებისა, შუადღემდე არჩევნებში მონაწილეობა სუსტად მიდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ დილის გაზეთები მხურვალეთ მოუწოდებდენ ხალხს გამოეკიდათ მონარქიული ან რესპუბლიკანური დროშები, არც ერთ სახლზე არ ყოფილა გამოკიდებული არც ერთი დროშა. მთელი პოლიცია ფეხზეა დაყენებული. საარჩევნო ყუთებს იცავენ დარაჯები. დღემდე მიღებულია ცნობები მხოლოდ ცალკე შემთხვევების შესახებ, როცა შეტაკებები მოხდა „რესპუბლიკანური დროშის“ და ფაშისტური ორგანიზაციის „ფოლადის აბჯარი“-ს მომხრეებს შორის.

გამოტყდენ.

ბერლინი, 7 დეკემბ. იმის გამოაშკარავების შემდეგ, რომ ბარმატის ფირმა ფინანსიურ დახმარებას აძლევდა მეორე ინტერნაციონალს, „ფორვერტს“-ი აღიარებს, რომ ძმ. ბარმატები ფულს აძლევდენ მეორე ინტერნაციონალის სეკრეტარიატს და პროფკავშირებს ჰოლანდიის ნავთსადგურების მუშების გაფიცვის დროს 1920 წელს.

გერმანიის კომპარტიის საარჩევნო კრება.

ბერლინი, 7 დეკ. გერმანიის კომპარტიამ მოაწყო ფრიდრიხსგაფენში საარჩევნო მიტინგი, რომელშიდაც მონაწილეობა მიიღეს უცხოეთის კომპარტიების წარმომადგენლებმა. კრების დიდი დარბაზი, რომელიც იტევს 8,000 კაცს გაჭედილი იყო. იმათთვის, ვინც ვერ მოახერხა დარბაზში შესვლა, კრება გაიმართა მეორე შენობაში. კრებაზე უნდა გამოსულიყო მარტი, მაგრამ პოლიციამ აკრძალა მისი გამოსვლა. კრება გახსნა გერმანიის კომპარტიის ცეკას წევრმა პიკმა, რომელიც თავის სიტყვაში შეეხო დოუესის გეგმის განხორციელების საკითხს. მან სთქვა, რომ ეს გეგმა მონობას უქადის გერმანიის პროლეტარიატსო. მან ილაპარაკა ომის საფრთხის, თეთრი ტერორის და მომავალი არჩევნების მნიშვნელობის შესახებ.

კრება მხურვალედ მიესალმა ინგლისის, უნგრეთის, შვეციის, პოლონეთის და განსაკუთრებით ესტონეთის წარმომადგენლების გამოსვლას. კრება ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც პროტესტს აცხადებს თეთრი ტერორის წინააღმდეგ გერმანიაში, პოლონეთში, ესტონეთში, ამერიკაში და ბალკანეთის ქვეყნებში, სადაც ის განსაკუთრებით არის გაჩაღებული.

თავიანთ რეზოლიუციებში ორივე კრება მოუწოდებს მუშებს—სოციალ-დემოკრატებს მიაქციონ ყურადღება იმას, რომ „რემედასს“-ის მიმართვა მეორე ინტერნაციონალისადმი პოლიტიკურ პატიმრების გაცვლა-გამოცვლის შესახებ უყურადღებოდ იქნა დატოვებული. რეზოლიუცია პროტესტს აცხადებს დოუესის გეგმის განხორციელების წინააღმდეგ.

ფაშისტური ტერორი

ოდესა. 7 დეკემბ. ჩავიდა ოდესაში „რემედასს“-ის იტალიის განყოფილების ცეკას წევრი მარაბინი.

„რატაუს“ კორესპონდენტთან საუბრის დროს მარაბინიმ აღნიშნა, რომ „რემედასს“-ის იტალიის კომიტეტს არ შეუძლია აღრიცხოს ფაშისტურ ციხეებში ჩაყრილი რევოლიუციონერები, ვინაიდან დაპატიმრებულთა ოჯახებს ეშინიათ მიაწოდონ „რემედასს“ ცნობები ტერორის მსხვერპლთა შესახებ. ასეთ შემთხვევაში ფაშისტები სასტიკად სდევნიან ოჯახს. არა სრული ცნობების თანახმად, იტალიის ფაშისტურ ციხეებში იმყოფება 12.000 პატიმარი: აქედან ნახევარს მისჯილი აქვთ ხანგრძლივი დაპატიმრება.

ამჟამად იტალიაში იმართება მთელი რიგი დიდი პოლიტიკური პროცესებისა, კერძოთ ასამართლებენ აპულიის ოლქის გლეხებს, რომლებიც აჯანყდენ ფაშისტების წინააღმდეგ.

მდგომარეობა ჩინეთში გართულდა

უ-პეი-ფუს შტაბის ხელში ჩაგდება.

პეკინი, 6 დეკემბ. მიღებულ ცნობების თანახმად უ-პეი-ფუს შტაბი ხელში ჩაიგდეს ხუჩინის ჯარებმა. უ-პეი-ფუს დამცველი რაზმი აჯანყდა. უ-პეი-ფუსთან დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ გავრცელებული ხმები ოფიციალურად გაბათილებულია პეკინის მთავრობის მიერ.

სუნ-იატ-სენის შეხვედრისათვის.

პეკინი, 6 დეკემბ. ოფიციალური წრეები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები გაფაციცებით ემზადებიან სუნ-იატ-სენის შესახვედრათ. ფიქრობენ, რომ შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებს 80,000 კაცი. შეხვედრის მოსაწყობად დაარსდა პეკინის მოქალაქეთა გაერთიანებული კომიტეტი, რომელშიაც შევიდენ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და საგანმანათლებლო ორგანიზაციების, სტუდენტთა კავშირების, პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ჩინეთის პრესა იუწყება, რომ სუნ-იატ-სენის პეკინში ჩასვლის მოლოდინმა დიდი აურ-ზაური გამოიწვია დიპლომატიურ კვარტალში.

როგორ შეხვდენ სუნ-იატ-სენს.

პეკინი, 6 დეკემბ. სუნ-იატ-სენს, რომელიც იაპონიის გემით ჩავიდა ტიან-ძინში დიდი ენტუზიაზმით შეხვდენ. სუნ-იატ-სენის შეხვედრის დროს ფრიალებდენ მრავალი ათასი დროშები წარწერებით: „სალამი სუნ-იატ-სენს—ჩინეთის რევოლიუციის მამას“. „ძირს უცხო სახელმწიფოების იმპერიალიზმი“. „ჩვენ მოვითხოვთ უთანასწორო ხელშეკრულებათა მოსპობას“. და სხვ. ხალხში ავრცელებდენ მრავალ პროკლამაციებს, რომლებშიაც განმარტებული იყო სუნ-იატ-სენის დამსახურება ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობაში და მოუწოდებდენ ჩინეთის მცხოვრებთ მხარი დაუჭირონ მას იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

როდესაც სუნ-იატ-სენის გემი ნაპირს უახლოვდებოდა იგრიალა მქუხარე ტაშმა. ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციების და დროებითი მთავრობის წარმომადგენელთაგან შემდგარი კომიტეტი გაემგზავრა გემზე სუნ-იატ-სენის შესახვედრათ.

ტიან-ძინი მორთულია ეროვნული დროშებით. სკოლებში მეცადინეობა შეწყვეტილია.

საღამოს უნდა გამართულიყო ბანკეტი ჩინეთის რესტორანში, რომელიც საფრანგეთის კონცესიის ტერიტორიაზე იმყოფება, მაგრამ მუნიციპალურმა პოლიციამ „ურჩია“ კომიტეტს უარი ეთქვა ამაზე, ვინაიდან ხალხის თავის-მოყრა ხელს „შეუშლიდა“ ჩვეულებრივ მოძრაობას.

ახალი გართულება

პეკინი. 6 დეკ. მდგომარეობა შანხაიში ხელახლა გართულდა, რადგან პროვინცია კიატ-სუს გუბერნატორს განზრახული აქვს არ შეუშვას რწმუნებული ჩან-იუნ-მინი, რომელიც დანიშნულია პეკინის მთავრობის მიერ და დანიშნოს თავისი რწმუნებული შანხაიში კუნ-პან-ტაო.

უცხოეთის საელჩოებს შანხაიში აღელვებს შექმნილი მდგომარეობა და მათ დეპეშა გაუგზავნეს პოლიტიკურ კორპუსს პეკინში. ისინი მოითხოვენ ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევას.

შეტაკება მუშებსა და ჟანდარმებს შორის

პარიზი. 7 დეკ. დუარნეპში მომხდარ ამბების გამო, სადაც ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს გაფიცულ მუშებს, „იუმანიტე“ ამბობს, რომ კომუნისტ—ლეფლანშის ჩაურევლად საქმე დიდი სისხლისღვრით გათავდებოდა.

პარიზი. 7 დეკემბ. საფრანგეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე კომუნისტურმა დეპუტატმა კაშენმა შეკითხვა შეიტანა იმ ამბების შესახებ, რომელიც დუარნეპში მოხდა, სადაც ჟანდარმებმა სროლა აუტეხეს გაფიცულ მუშებს. კაშენი ამტკიცებდა, რომ გაფიცვა მოწყობილი იყო ჟანდარმების მიერ პროვოკაციული მიზნით.

კაშენს უპასუხა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოტანმა, რომელიც შეეცადა დაერღვია კაშენის ბრალდება. შოტანის შემდეგ გამოსულმა ერრიომ განაცხადა, რომ მთავრობას განზრახვა არ აქვს ხელი შეუშალოს მუშების ეკონომიურ ბრძოლას, მაგრამ ის მთელი თავისი ძალებით იბრძოლებს იმ მანიფესტაციების წინააღმდეგ, რომელთაც ძალადობის ხასიათი აქვს; ამ შემთხვევაში ის ანგარიშს არ გაუწევს იმას, თუ ვინ აწყობს ამ მანიფესტაციებს; მემარჯვენე კლერიკალები თუ კომუნისტები. ამას გარდა ერრიომ განაცხადა, რომ საფრანგეთში მცხოვრებ უცხოელთა შორის მეტად ბევრი არიან კომუნისტები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ პოლიტიკურ გამოსვლებში—მთავრობა ამას ვერ მოითმენს.

სხვა და სხვა ამბები

— **ლოძის მუშები.** 6 დეკემბერს ლოძის მუშებმა გადასწყვიტეს საერთო გაფიცვის გამოცხადება, რაც იმავე დღეს სისრულეში იქნა მოყვანილი. ასეთმა სოლიდარულმა გაფიცვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მწარმოებლებზე.

— **ფაშისტების სამეფოში.** იტალიის სენატმა ხმის დიდი უმრავლესობით მოიწონა მუსოლინის მთავრობის მუშაობა საშინაო პოლიტიკაში.

— **„გამოცდილი კაცი“.** სუდანის გენერალ-გუბერნატორად ინგლისმა დანიშნა გენერალი არჩერი, რომელიც ცნობილი არის როგორც სამხრეთ აფრიკის მცხოვრებთა აჯანყების ჩამქრობი.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მუშკორების და გლეხკორების ყრილობა.

მოსკოვი. 8 დეკემბერი 7 დეკემბერს დილის სხდომაზე მუშკორების და გლეხკორების სრულიად საკავშირო თათბირი შეუდგა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან. მომხსენებლებად ჩაწერილია დაახლოვებით 100 კაცი

სალამი პალესტინის კომპარტიისაგან.

მოსკოვი. 8 დეკემბერი. რ. კ. პ. ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მისალმება პალესტინის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტისაგან ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლისთავის გამო; მისალმება მიღებულია ძალიან დაგვიანებით. მისალმებაში ნათქვამია: „ინგლისის იმპერიალისტები ცეცხლითა და მახვილით ანადგურებენ სახალხო განმათავისუფლებელ მოძრაობას სუდანში, მესოპოტამიაში და პალესტინაში. საფრანგეთის ჯალათები საკვდილით დასჯითა და ციხეების საშუალებით ებრძვიან ნაციონალურ მოძრაობას სირიაში და ლივანში. ისინი თხზავენ სხვადასხვა ჭორებს იმ მიზნით, რომ ფართო მასებს ჩაუნერგონ უნდობლობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნიზმისადმი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღმოსავლეთის ქვეყნების კომპარტიები უფრო და უფრო ძლიერდებიან. ჩვენი გავლენა მუშათა და გლეხთა მასებში შეუჩერებლად იზრდება. თქვენი გამარჯვების მეშვიდე წლის თავზე ჩვენ შეგვიძლია მოგილოცოთ თქვენ კომპარტიის დაარსება სირიაში. თქვენთან არის მთელი ჩაგრული კაცობრიობა.

ამხ. ტროცკის გამოსვლის გამო.

მოსკოვი, 8 დეკ. კრასნოიარსკიდან, ვინიციიდან, სმოლენსკიდან, კრასნოდარიდან, ტიხორეცკიდან და ვლადიმირიდან მიღებულია საპროტესტო რეზოლიუციები, რომლებიც გამოუტანიათ ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ტროცკის გამოსვლის გამო.

ოქროს მადნების დამუშავება.

ნოვონიკოლაევსკი. 7 დეკ. დაიწყო დიდი ხნით მიტოვებული ოქროს უმდიდრესი მადნების—კედროვკის ექსპლოატაცია. სანიმუშოდ წარმოებულ მუშაობის დროს ყოველმა 10 კაცმა დაამუშავა დღიურად 1 გირვანქა ოქრო, რაც საზღაპრო მოპოვებად უნდა ჩაითვალოს.

კომკავშირელთა შობა.

მოსკოვი. 7 დეკემბერი. კომკავშირელთა შობის დღესასწაული ჩატარებული იქნება ქალაქში 25 დეკემბერს. სოფელში კი ის მოხდება საეკლესიო დღესასწაულის დღეს; გამართული იქნება საღამოები კლუბებში წაკითხული იქნება მოხსენებები შემდეგ თემებზე: რელიგია და მეცნიერება, კლასობრივი ბრძოლა; წელს რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირმა გადასწყვიტა კომკავშირელთა შორის დაუკავშიროს ხანგრძლივი ანტირელიგიური კამპანია ახალგაზრდებს შორის.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

შეფობა ავიო-ესკადრილიაზე

ერევანი. 8 დეკ. სომხეთის საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმმა მიიღო შეფობა კავკასიის წითელდროშოვან არმიის ავიოესკადრილიაზე.

ვეტერინართა ყრილობა

ერევანი. 8 დეკემბერი. 1925 წლის იანვარში შესდგება ვეტერინართა რესპუბლიკანური ყრილობა.

პირველი სომხეთში

ქეშკენდი. 8 დეკემბ. სოფელ არპას გლეხებმა მოაწყვეს სომხეთში პირველი მებამბეობის საწარმოო კოოპერატივი.

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის ცაკის სესია.

ბაქო. 7 დეკ. გუშინ გაიხსნა აზერბეიჯანის ცაკის მესამე სესია. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: ანგარიში პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ, ჯანმრთელობის და სახ. განათლების კომისარიატების მოხსენება, დამტკიცება კანონმდებლობისა ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატის რეორგანიზაცია, ადგილობრივი ბიუჯეტი.

აღამალი ოღლის მოხსენება პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ პლენუმმა მოიწონა და მიიღო გადაწყვეტილება მიიზიდონ თურქი—ქალები აზერბეიჯანის სამოსამართლო ორგანოების მუშაობაში.

პარტიული ცხოვრება

თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია

მესამე სხდომა

საღამოს სხდომაზე ამხ. დოლიძე თავისი ინფორმაციული მოხსენების გარშემო მიღებულ შეკითხვებზედ აძლევს ამხანაგებს ამომწურავ პასუხს, რის შემდეგ საქართველოს საკონტროლო კომისიის მუშაობის შესახებ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოხსენება ცნობილი იქნეს დამაკმაყოფილებლად და ეთხოვოს ც. ს. კ. თავისი შემადგენლობიდან გამოჰყოს სპეციალური სამეული თბილისის საქმეების გასარჩევად“.

საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ, რომლის გამო მიღებულ იქნა შემდეგი

რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება: „საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანების შესახებ“, თბილისის სამაზრო პარტ-კონფერენციამ დაადგინა:

1) საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები გარკვეულია პარტიის უმაღლეს, ხელმძღვანელ ორგანოების უკანასკნელ რეზოლიუციებში და დადგენილებებში, რომლებიც მიღებული იყო საქართველოში აგვისტოში მომხდარი გამოსვლების შემდეგ.

ამ დადგენილებების განხორციელება უნდა შეადგენდეს პარტიის მთავარ ამოცანას უახლოეს პერიოდში.

თბილისის პარტ-კონფერენცია მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრებს ყოველივე ძალ-ღონე მოახმარონ ამ გადაწყვეტილებების გადაუხვევლად ცხოვრებაში გატარებას.

2) უმთავრეს მორიგ ამოცანებად უნდა ჩაითვალოს: ა) ბრძოლა მენშევიზმთან, რა ფორმითაც და სახითაც არ უნდა იჩენდეს ის თავს, განსაკუთრებით შეუბრალებელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს მენშევიზმის ახალ მისწრაფებებს—მისი ავანტიურაში დამარცხების შემდეგ—აღადგინოს თავისი თავი ლეგალური გზით და ცდებს „ლეგალობის მოპოებისას“, ბ) მუშაობის გაძლიერება სოფლად და მაქსიმალური ყურადღების მიქცევა გლეხების ცხოვრების საკითხებისათვის: დ) პარტიის სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარება და შემდეგი განვითარება ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებები; ე) სოფლის და ქალაქის ინტელიგენციის იმ საუკეთესო ნაწილის ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში, რომელიც არ არის დაავადმყოფებული ნაციონალიზმით. ამავე დროს გაძლიერებულ იქნეს პარტიის მუშაობა საკუთარი მუშურ-გლეხური ინტელიგენციის კადრების შესაქმნელად; 3) რკინისებური მთლიანობის განმტკიცება პარტიის შიგნით, ურომლისოდაც შეუძლებელია ზემოდ აღნიშნულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება და უპარტიო მუშათა და გლეხთა მასების მიზიდვა კომპარტიისადმი.

3) თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია სავსებით უერთდება პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმის რეზოლიუციას ამხ. ტროცკის უკანასკნელი გამოსვლების შესახებ და აცხადებს მთელი თბილისის ორგანიზაციის სახელით, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ბოლშევიკური ორგანიზაციაა კავკასიაში და საბჭოთა კავშირში, რომ ის მომავალშიც ლენინიზმის გზით ივლის და სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს ყველა იმ ცდებს, რომლებიც მიზნად ისახავენ შეურყეველი პარტიის მთლიანობის დარღვევას, რაიმე გადახრის შეტანას ერთიან, მონოლიტურ რუსეთის კომპარტიის რიგებში“.

სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის მახლობელ ნომერში.

მეოთხე სხდომა

პარტაღმშენებლობა

(მომხსენებელი ამხ. ხაცკევიჩი)

პირველი და უმთავრესი ამოცანა, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება, მდგომარეობს იმაში, რომ გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა. ამ მიზნისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მთელი თავისი შესაძლებლობით ავამოძრაოთ ჩვენი წარმოებების ქვედა პარტიული აპარატები.

შინა-პარტიული დემოკრატიის საკითხი ყრილობების მიერ პრინციპიალურად გადაწყვეტილი საკითხია. მხოლოდ ამ ჟამად სდგას საკითხი მისი პრაქტიკულად განხორციელების შესახებ. მხოლოდ მთავარი აქ კი ის არის, რომ ქვედა და ზემო პარტიულ აპარატებს შორის ნორმალური ურთიერთ დამოკიდებულება არსებობდეს, რომ ინფორმაციების საქმე თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დავაყენოთ.

დღევანდელი სინამდვილე, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გვიკარნახებს უპარტიოთა შორის მუშაობის გაძლიერებას, გაცხოველებას. მშრომელი უპარტიო მასები, რომლებიც ესწრებიან პარტიის და კომკავშირის უჯრედების სხდომებს, უნდა დავიპყროთ პოლიტიკურად და ჩავაბათ ისინი ჩვენი ორგანიზაციულ-პრაქტიკულ მუშაობაში ამ მხრივ პარტიაში ახლად მიღებულები სავსებით და მთლიანად უნდა იქნენ გამოყენებული, რადგან ისინი უფრო მეტად არიან უშუალოთ დაახლოვებული უპარტიო მასებთან. ამასთანავე ხშირ-ხშირად უნდა მოვიწვიოთ მშრომელი ინტელიგენციის და საერთოდ უპარტიოთა კონფერენციები.

საბჭოების მუშაობის გამოცხოველებისათვის კი საჭიროა ადგილობრივი ინიციატივის ამოძრავება.

სოფლად მუშაობის თავის დონეზე დაყენებისათვის აუცილებელია თბილისის კომიტეტებთან სპეციალური კომისიის დაარსება, რომელიც გაუძღვება სოფლად მუშაობის საქმეს.

რაც შეეხება გლეხების პარტიაში მიღების საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ განსაზღვრული პროცენტი გლეხობისა უნდა მივიღოთ.

წითელ არმიასთან კავშირი დღემდე მოიკოჭლებს.

კამპანიის საქმე არ არის კარგად დაყენებული. მაგ. შრომის ნაყოფიერების გადიდების კამპანია საგრძნობლად მოისუსტებს. ეს დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. პროპაგანდისტთა კადრის შექმნისათვის ჩვენ დაარსებული გვაქვს სკოლები, კურსები და სხვა.

თვითგანვითარების საქმის ნორმალურ დონეზე დაყენებისათვის კი უნდა დავაარსოთ ასეთივე წრეები, საითაც უნდა ჩავაბათ უპარტიონიც. საკლუბო მუშაობა მოისუსტებს. უმჯობესია კლუბები რაოდენობით ცოტა იყვეს, მაგრამ თვით კლუბებში მუშაობა შინაარსიანი და დადებითი იქნეს.

ჩვენმა კლუბებმა ლენინიზმის პრინციპებზე უნდა აღზარდონ მშრომელი მასები. და აი იმისათვის, რომ ეს ცხოვრებაში გავატაროთ, საჭიროა კლუბების გადათვალიერება და საკლუბო საბჭოების მუშაობის გაძლიერება, იმ საბჭოების, რომლებიც არსებობენ რაიონებთან. ასეთივე პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას კულტშეფების დარგშიაც.

რაც შეეხება კომკავშირს, მას დიდი ამოცანები აქვს დასახული სოფლად. მხოლოდ იმ ნივთიერი, მატერიალური მდგომარეობით, რომელშიაც ისინი იმყოფებიან, კომკავშირლები სოფლად ვერაფერს გააკეთებენ.

ქალთა შორის მუშაობის დროს ჩვენ არ გვქონდა აღებული კურსი ქალების პარტიაში მიღებისა. ეს კურსი ეხლა აუცილებლივ უნდა ავიღოთ. პარტიაში უნდა ჩავაბათ დიასახლისები და მშრომელი ინტელიგენტ ქალები.

შრომის ნაყოფიერება და სამუშაო ხელფასი

(მომხსენებელი ამხ. ჟუღელი)

შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფასის საკითხი ჩვენს კრებებზე საერთოდ არა ერთხელ დასმულა და გამოტანილა დადგენილებები, დღეს კი პარტიულმა კონფერენციამ უნდა საბოლოოდ გამოიმუშაოს ის მეთოდები, რომლის საშუალებით შესაძლებელი უნდა გახდეს შრომის ნაყოფიერების გადიდება და სამუშაო ხელფასის მოგვარება.

როგორც ვიცით, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომმა გაანადგურა ქვეყნის ეკონომიური ძალები და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ ჩვენ მივიღეთ მეტად მძიმე მემკვიდრეობა. მაშინ მთავარი ჩვენი ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ სამუშაო ხელფასი გაგვედიდებია და ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ აქ მივაღწიეთ მეტად დიდ და საგრძნობ გამარჯვებას. მაგრამ, როდესაც სამუშაო ხელფასი შევუფარდეთ ჩვენს მეურნეობას, ჩვენს ეკონომიურ სხეულს, დავინახეთ, რომ პირველი უსწრებდა უკანასკნელს. აქ კი წამოიჭრა ახალი ამოცანა: უნდა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება ისე, რომ პირველ ხანებში სამუშაო ხელფასს და შრომის ნაყოფიერების შორის დავამკვიდროთ ერთგვარი თანაზრობა, ეკვივალენტი.

შრომის ნაყოფიერების დაცემის მთავარ მიზეზად არ შეგვიძლია ჩავსთვალოთ ინდივიდუალური ინტენსიური შრომა. მართალია, ეს გარემოება თავის კვალს აჩენს შრომის ნაყოფიერების დაცემის პროცესზე, მაგრამ არ შეიძლება იმის თქმა, რომ ის იყვეს მთავარი. შრომის ნაყოფიერების დაცემის ელემენტები სხვა.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სტატისტიკური მონაცემულობის თანახმად, მენშევიკების დროს სამუშაო ხელფასი დღითი-დღე ეცემოდა. მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მდგომარეობა ამ მხრივ რადიკალურად შეიცვალა. თუმცა თანდათანობით, მაგრამ საგრძნობლად დიდდებოდა სამუშაო ხელფასი.

მაგრამ რით აიხსნება შრომის ნაყოფიერების დაცემა? წარმოებებში მდგომარეობის გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ სამუშაო დრო სავსებით არ იტვირთება, არ არის გამოყენებული მიზანშეწონილად, წარმოებებს არ მოეპოვებათ ნედლეული, ან თუ მოეპოვებათ ცუდი ხარისხის, მხოლოდ ამასთანავე ერთად არსებობენ მთელი რიგი ტეხნიკურ დაბრკოლებებისა. თამბაქოს, მეტყავეთა წარმოების, საპნის და ზეთის, მეტალურგიული ქარხნების გამოკვლევა სავსებით და მთლიანად ამტკიცებენ იმას, რომ შრომის ნაყოფიერება აქ დაცემულია იმ მიზეზების გამო, რომლებიც აღვნიშნეთ ზემოთ. ამასთანავე ეს გამოკვლევა ამტკიცებს იმასაც, რომ სამუშაო ხელფასი საგრძნობლად სჭარბობს შრომის ნაყოფიერებას. ეს არანორმალური მდგომარეობა უნდა აღმოიფხვრას. მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შრომის ნაყოფიერების გადიდებაზეა უშუალოდ დამოკიდებული მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და საბჭოთა ძალა-უფლების სიმტკიცე და სიძლიერე, საჭიროა პარტიული მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას ამ ფრონტისაკენ.

მაკრატლის პრობლემა, რომელიც გამომდინარეობს შრომის ნაყოფიერების და სამუშაო ხელფასს შორის არა თანაბარი შეფარდებიდან და რომელიც თავის მხრივ ჰქმნის უფსკრულს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და სამრეწველო წარმოების შორის, მაშინ იქნება დაძლეული და სათანადოთ გადაჭრილი, როდესაც მთელი პარტიული მასსა ორგანიზაციული დარაზმულობით შეებრძოლება ყველა იმ სამეურნეო და ტეხნიკურ დაბრკოლებებს, რომლებიც ხელს უშლიან შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

შემდეგ ამხ. ჟუღელი ვრცლად ეხება კოლლექტიურ ხელშეკრულებებს, ეკონომიურ მუშაობას, მძიმე და მსუბუქ ინდუსტრიალურ წარმოებებში სამუშაო ხელფასის მომატების საკითხებს, სპეცების და კვალიფიკაციის საკითხს და საწარმოო თათბირების მნიშვნელობას შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში.

კამათი

მოხსენების ირგვლივ იმართება კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გალუსტოვმა, პრეობრაჟენსკიმ, შეპელიოვმა, ურიანოვმა, ვართოიანმა და ვართანიანმა.

მომხსენებელმა თავისი ვრცელ საბოლოო სიტყვაში ყველას გასცა ამომწურავი და დამაკმაყოფილებელი პასუხი.

ამხ. კუიბიშევის მოხსენება

გუშინ სახელმწიფო ოპერის თეატრში საქალაქო პარტიულ კრებაზე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარემ და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარმა ამხ. კუიბიშევმა გააკეთა მოხსენება: „ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობა საერთო პარტიულ ამოცანებთან დაკავშირებით“, რომლის შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი:

რეზოლიუცია:

„მოისმინა რა რ. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის ამხ. კუიბიშევის მოხსენება „ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობის შესახებ საერთო პარტიულ ამოცანებთან დაკავშირებით“, თბილისის სამაზრო-საქალაქო პარტკონფერენცია საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო-საქალაქო კრებასთან ერთად კმაყოფილებით აღნიშნავს ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის დიდ მიღწევებს ქვეყნის სამეურნეო აღმშენებლობისათვის დახმარების გაწევის დარგში, შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, ეკონომიაში და ყველა საკითხებში, რომელიც ამყარებს პროლეტარიატის კავშირს გლეხობასთან, მიღწევებს წარმოების უკეთესად დაყენების საქმეში ისევე, როგორც პარტიის გაჯანსაღების და მისი მთლიანობის განმტკიცების დარგში.

კონფერენცია და საქალაქო კრება მოუწოდებენ პარტიის ყველა წევრებს ყოველმხრივ მხარი დაუჭირონ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების ყველა ნაბიჯებს, რათა გაუადვილოთ მათ იმ ანდერძის განხორციელება, რომელიც დაუტოვა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებას ილიჩმა“.

ამხ. ტროცკის ახალი გამოსვლის გამო

ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის ორგანიზაციის აქტივისტთა კრებამ (თბილისის კომიტეტის გაფართოებული პლენუმი რაიკომების წევრებთან ერთად) მოისმინა ამხ. მიასნიკოვის მოხსენება ამხ. ტროცკის გამოსვლის შესახებ და დაადგინა: შეუერთდეს რ. ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს ცეკას, სომხეთის ცეკას და აზერბეიჯანის ცეკას რეზოლიუციას.

ა. კ. რესპუბლიკების საგეგმო კომისიების წარმომადგენელთა თათბირი

თათბირის გახსნა

გუშინ 8 დეკემბერს დილით გაიხსნა ა.-კ. რესპუბლიკათა საგეგმო და კომისიების თათბირი, რომელზედაც მოწვეულ არიან საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთის გეგმათა კომისიების და აფხაზეთის, აჭარისტანის, სამხრეთ-ოსეთის, ნახიჩევანის ეკონომიურ საბჭოს თათბირთა წარმომადგენელნი,

სხდომა გახსნა ა.—კ. სახელმწიფო გეგმათა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ფილიპე მახარაძემ, რომელმაც მოკლეთ აღნიშნა თათბირის მიზანი.

თათბირის სამუშაო პროგრამა.

შემდეგ თათბირი ამტკიცებს სამუშაო პროგრამას, რომელშიდაც შედის შემდეგი საკითხები: ა | კ. სახელმწიფო გეგმათა კომისიის ამოცანები, მუშაობის ხასიათი და კონსტრუქცია, 2) რესპუბლიკანური სახელმწიფო გეგმათა კომისიების კონსტრუქცია და მოქმედება, 3) სექციათა მუშაობის პროგრამა და გეგმა, 4) მოხსენება საკონიუნქტურო საბჭოს შესახებ, 5) რესპუბლიკების სახელ. გეგმათა კომისიების ორგანიზაცია და მათი ურთიერთობა ა | კ. სახ. გეგმათა კომისიასთან, 6) მუშაობის ორგანიზაცია ადგილებზე, 7) რესპ. გეგმათა კომისიების ჩამოყალიბება.

ამხ ფ. მახარაძის მოხსენება

ა | კ. სახელმწიფო გეგმათა კომისიის ამოცანებსა, მუშაობის ხასიათსა და კონსტრუქციის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც ახასიათებს გეგმათა კომისიის დანიშნულებას საბჭოთა სამეურნეო მშენებლობაში. გეგმათა კომისია არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკას, იგი ხელს უწყობს მის პრაქტიკულ გატარებას ცხოვრებაში. ეკონომიური ხასიათის საკანონმდებლო ღონისძიებათა საშუალებით გეგმათა კომისიას შეუძლია გააფართოოს სახელმწიფო ვაჭრობა-მრეწველობის გავლენა ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაზე. ეს კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებული იქნება ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა, გათვალისწინებული იქნება არა მარტო ჩვენი მრეწველობის შესაძლებლობანი, არამედ ისიც თუ რამდენად უზრუნველყოფილია ჩვენი მრეწველობა პროდუქტების გასაღების მხრივ.

გეგმათა კომისიის წინაშე სდგას ორგვარი ხასიათის ამოცანები: 1) ყოველდღიური საჭიროების საკითხების გადაწყვეტა მეურნეობის სხვადასხვა დარგების მოსაწესრიგებლად და 2) მუშაობა მეურნეობის ყველა დარგებისათვის საპერსპექტივო გეგმების შესადგენად.

ჩვენ გვაბადია საშუალებათა და რესურსების განსაზღვრული რაოდენობა, და თუ შესწავლილი არ იქნება ამა თუ იმ რაიონის მცხოვრებთა ფენების საჭიროებანი, შეუძლებელი გახდება მიზანშეწონილი გეგმის შემუშავება. სახელმწიფო გეგმათა კომისიამ, რომელმაც უნდა იკისროს ამ რესურსების განაწილება, უნდა შეისწავლოს არა მარტო მეურნეობის ცალკე დარგები, არამედ რაიონები კავშირის, რესპუბლიკების და ავტონომიების მაშტაბით. უკანასკნელ დღემდე მაზრებში საამშენებლო მუშაობა სწარმოებდა უსისტემოდ,—უგეგმოდ, გეგმათა კომისიები არ ღებულობდენ მასში არავითარ მონაწილეობას. ხდებოდა სახელმწიფო ქონების და შესაძლებლობის არამიზანშეწონილი განაწილება და გამოყენება. შენდებოდა ის, რაც ჩვენი ხელმოკლეობის დროს ფუფუნებად ჩაითვლება.

ცალკე სახალხო კომისარიატებიც აწესრიგებდენ თავიანთ მუშაობას არა სახელმწიფო მეურნეობის, არამედ თავისი უწყების თვალსაზრისით.

შემდეგ მომხსენებელი გადადის რა ა | კ. გეგმათა კომისიის მუშაობის მიმოხილვაზე, აღნიშნავს, რომ კომისიამ შეძლებისდაგვარად გამოიყენა საბჭოთა რუსეთის საგეგმო ორგანოების გამოცდილება და პრაქტიკა, რომელიც შეუფარდა ჩვენი მეურნეობის თავისებურ პირობებს.

მუშაობის მოკლე მიმოხილვის შემდეგ, მომხსენებელი თათბირს აცნობს ა | კ. გეგმათა კომისიის კონსტრუქციას.

ამავე სხდომაზე მოხსენებებს აკეთებენ ამხ. ბუნიატზადე და ამხ. ჟუღელი; პირველი აზერბეიჯანის, ხოლო მეორე საქართველოს გეგმათა კომისიის მუშაობისა და სტრუქტურის შესახებ.

კოოპერაცია

მეზღვაურთა კოოპერატივი ფოთში

მეზღვაურთა კავშირის მუშა-მოსამსახურეებმა დღიდან გასაბჭოებისა დაარსეს ფოთში კოოპერატივი, რომელიც მოხერხებულ ადგილას იქნა გახსნილი. ის დიდ დახმარებასაც უწევს მომხმარებლებს. გარდა მეზღვაურებისა ამ კოოპერატივით სარგებლობენ ნაწილი დიდი კუნძულის მცხოვრებლებისა და ნავთსადგურში მომუშავე მუშებიც. რა თქმა უნდა, თუ ესეთ კოოპერატივს კარგი ხელმძღვანელი კოოპერატორები ეყოლებოდა, მისი საქმე კარგათ უნდა წასულიყო. მართლაც მეზღვაურთა კავშირის კოოპერაციამ ასეთი ხელმძღვანელები ნახა ამხ. ამხ. თ. ჟვანიას და ე. გაგუას სახით. აღნიშნული ამხანაგების დაუღალავ შრომას უნდა მიეწეროს კოოპერატივის ასეთი განვითარება. კოოპერატივმა ეხლა გახსნა განყოფილება თვით ქალაქის ცენტრშიც.

დ. ვაჩეიშვილი.

ჭიათურის მთლიანი მუშათა კოოპერატივი

მიმდინარე წლის მეორე ნახევრამდე საქართველოს კოოპერაციის სისტემაში მხოლოდ ერთი მუშათა კოოპერატივი იყო წარმოდგენილი: ეს იყო თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი. ეს მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოს სამრეწველო ცენტრებში თავმოყრილი მუშათა მასის სპეციალური მოთხოვნილებები აუცილებელ საჭიროთ ხდიდა მუშათა კოოპერატივების რიცხვის გამრავლებას. საქართველოს პროფკავშირთა ცენტრში და ცეკავშირში დაისვა ეს საკითხი და მისი პრაქტიკულათ გადაჭრამ მოგვცა ის სარეორგანიზაციო მუშაობა, რომელიც სავსებით დღესაც არ არის დასრულებული: გადაკეთდა მუშათა კოოპერატივებათ შემდეგი მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივები: ბათომის, ჭიათურის, ბორჯომის, ტყვიბულის, ფოთის; დაარსდა მუშათა კოოპერატივები ჩათახში, ჩაქვში, განზრახულია ქუთაისის მთლიან სამომხმარებლო საზოგადოების „კოოპერაციის" მუშათა კოოპერატივათ გადაკეთება.

კერძოთ ჭიათურის მუშათა კოოპერატივის საქმეთა ეხლანდელი მდგომარეობა საბუთს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ სარეორგანიზაციო მუშაობამ კი არ შეასუსტა, პირიქით, გააძლიერა და გააფართოვა ამ კოოპერატივის საქმიანობა. ჭიათურის მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება გადაკეთდა მუშათა კოოპერატივათ მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან. თუ პირველ აგვისტოსთვის ამ კოოპერატივის წევრთა რიცხვი 1.630 იყო 3.940 მანეთი საპაიო და საწევრო თანხით, 1 ნოემბრისათვის ჭიათურის მუშათა კოოპერატივის წევრთა რიცხვი 2.102 უდრის 400 მანეთი საწევრო და 5.704 მან. საპაიო თანხით. კოოპერატივის უნარიანობა ხდის მას მუშათა თვალში მეტათ სანდო სამეურნეო ორგანიზაციათ და ამის შედეგია, რომ მუშებში ემჩნევა დიდი ლტოლვა კოოპერატივში ჩაწერისა და საპაიო თანხის გადახდისაკენ. მუშათა კოოპერატივის გამგეობა შეუდგა რა საქმიანობას პირველყოვლისა მიიღო ზომები ზედნადებ ხარჯების შესამცირებლათ. ამ მიზნით შემცირებულ იქნა ხარჯები გამგეობის შენახვაზე: გამგეობის წევრთა რიცხვი განისაზღვრა სამი კაცით, ხოლო მისი წლიურათ შესანახი ხარჯი 1.800 მანეთით. მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებისაგან მიღებული ორი მაღაზია ჭიათურაში და ოთხი განყოფილება ახლო-მახლო სოფლებში მუშათა კოოპერატივის გამგეობამ გააფართოვა, შეაკეთა და დატვირთა საქონლის შედარებით მეტი რაოდენობით. სამომხმარებლო საზოგადოებისაგან მიღებული სასადილო შეკეთებულ იქნა და ძველ და ახალ სასადილოში ჩვენ დღეს გვაქვს ახალი სუფთა ავეჯი და მოწყობილობა. მუშათა კოოპერატივის ენერგიულმა საქმიანობამ მოიზიდა მისკენ მომხმარებლები: მაშინ, როდესაც სამომხმარებლო საზოგადოების არსებობის უკანასკნელ სამ თვეში (მაისი—ივნისი—ივლისი), მისი მთელი ნავაჭრის ჯამი შეადგენდა 126.000 მანეთს, მუშათა კოოპერატივის არსებობის პირველ სამ თვეში (აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი) ჩვენ გვაქვს ნავაჭრის ჯამი 156.555 მან., მუშკოოპმა გააშენა ქალაქ[illegible] გარეთ საკუთარი ქვის შენობა კრამიტით დახურული. აქ არის კოოპერატივის ბოსელი, სასაკლაო და სალორე. კოოპერატივის გამგეობას განზრახული აქვს აქვე მოაწყოს ხორცის სიჯანსაღის გამომრკვევი ლაბორატორია. კოოპერატივი აფართოვებს ნავთის საწყობს, რომ საშუალება ექნეს ნავთის საკმაო რაოდენობით მომარაგებისა და ამით აიცდინოს თავიდან დრო-გამოშვებით ნავთის უქონლობა. ამ დღეებში ის ხსნის ჭიათურაში სამაზრო აღმასკომის დახმარებით და ხელის შეწყობით მეორე ფურნეს. ამ წამოწყების ამუშავების შემდეგ ჭიათურის მუშათა კოოპერატივს დაპყრობილი ექნება პურის ადგილობრივი ბაზარი 60—70 პროცენტით. კოოპერატივს მიეცა შესაკეთებლათ ერთი უვარგისი ბინა. ამ ბინის შეკეთებას ამ მოკლე ხანში შეუდგა კოოპერატივი. განზრახულია ამ ბინაში სამკითხველოს მოწყობა.

ამჟამათ ჭიათურის მუშათა კოოპერატივს აქვს შემდეგი სავაჭროები და წარმოებები: ჭიათურაში—1) საფართლო და საბაკალეო მაღაზია, 2) საბაკალეო, გასტრონომიული, მწვანილების და სასმელების მაღაზია, 3) საყასბო, 4) ორი ფურნე, 5) ორი სასადილო, 6) სახარაზო, 7) სასაკლაო, ხორცი და სალორე, 8) ნავთის და მაზუთის საწყობი და სავაჭრო, 9) ღვინის სასწყობი 10) საერთო საწყობი, 11) სამი საწყობი (ფქვილის, მარილის, შაქრის და სხვა), 12) ცხენების თავლა და „ობოზი"; ჭიათურის ახლო-მახლო სოფლებში კოოპერატივს აქვს ოთხი განყოფილება—რგანში, შუქრუთში, სკინდორში და პერევისაში.

ამჟამად კოოპერატივს თავის ხარჯზე ჰყავს ერთი სტიპენდიანტი თბილისში კოოპერატიულ კურსებზე. მომავალ გაზაფხულისთვის მას განზრახული აქვს ასეთი კურსების მოწყობა ჭიათურაში მთელი მაზრისათვის კოოპერატიული მუშაკების მოსამზადებლათ. მუშათა კოოპერატივი აწვდის თავის მომხმარებლებს—როგორც წევრებს, ისე არა-წევრებს—სხვადასხვა საქონელს კერძო ბაზართან შედარებით 10—25 პროცენტით ნაკლებ ფასებში. კოოპერატივი ურიგებს თავის წევრებს მათ მიერ ნაყიდ საქონელზე შეღავათის ბარათებს ნაყიდი საქონლის რაოდენობის აღნიშვნით და როდესაც წევრს ასეთი ბარათები 5—10 თუმნის დაუგროვდება, მას მიეცემა კოოპერატივისაგან თითო ნავაჭრ მანეთზე 5 კაპ. შეღავათი. კოოპერატივის გამგეობამ კატეგორიულად უარყო ნისიათ ვაჭრობის წესი. ნისიათ საქონელი ეძლევა მუშებს ჯამაგირიდან ჯამაგირამდე მათ წარმოებათა პასუხისმგებლობით ან მათ მიერ წინდაწინ ავანსების შემოტანის პირობით. საჭირო საქონლის დაახლოვებით 85 პროცენტს მუშათა კოოპერატივი იძენს კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან, ხოლო საკლავ საქონელს, კვერცხს, მწვანილს და სხვა ამგვარს კერძო პირებისაგან.

საჭირო ნივთიერი დახმარება მუშათა კოოპერატივს აღმოუჩინეს უმთავრესათ ცეკავშირმა, შავი ქვის საგანგებო სამმართველომ, „ჩემომ" და ჭიათურის დამზღვევ სალარომ. სამრეწველო ბანკმა და ვსეკობანკმა მას გაუხსნეს თითომ ხუთი ათასი მანეთის კრედიტი.

ასეთია მოკლეთ ჭიათურის მუშათა კოოპერატივის ეხლანდელი მდგომარეობა.

შ. დ—ე.

რკ. გზის სატარიფო სისტემის შეცვლისათვის

შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან შესდგა ა/კავკასიის ფედერაციის სავაჭრო დაწესებულებათა წარმომადგენლების თათბირი, რომელმაც განიხილა სატარიფო სისტემის შეცვლის საკითხი ა/კავკასიის რკინის გზის პირობების თვალსაზრისით. ცენტრიდან გამოგზავნილი ტარიფის გადასინჯვის პროექტის საერთო განხილვის შემდეგ, თათბირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელშიდაც შედიან შინა ვაჭრობის სახ. კომის, ამიერ-კავკასიის რკინისგზების, ა/კ. კოოპერატ. კავშირის და საფონდო ბირჟის წარმომადგენელნი.

კომისიას დაევალა სამი დღის განმავლობაში დეტალურად დაამუშავოს საკითხების პროგრამა, რომელიც საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა თათბირს.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია არსებული ტარიფების ჯგუფებად დაყოფას, ტარიფიკაციის კლასების რაოდენობას, სატარიფო შენაცვლებისა და არსებული ტარიფების დიფერენციაციის შეფარდებას.

შრომის მოწესრიგება

ახალგაზრდობის წარმოებებში განწესრიგებისათვის.

ამიერ-კავკ. შრომის სახალხო კომისარიატმა რესპუბლიკის შრ. სახ. კომებს დაუგზავნა წერილობითი წინადადებანი, იმის შესახებ, რომ შრ. კომისარიატები შეუთანხმდენ ადგილობრივ სამეურნეო ორგანოებს მტკიცეთ გაატარონ წარმოებებში ახალგაზრდობის განსაზღვრული განწესრიგება სამუშაოებზე.

მუშათა საბინაო მშენებლობის ხელის შემწყობი კომიტეტი

ა/კ. აღმასკომის დადგენილების თანახმად ა/კ. შრომის სახ. კომთან ეწყობა მუშათა საბინაო მშენებლობის ა/კ. ხელისშემწყობი კომიტეტი, რომელმაც კავშირი უნდა დაამყაროს საბჭოთა კავშირის შრ. სახ. კომისარიატთან არსებულ კოოპერატიულ საბინაო მშენებლობის ხელისშემწყობ კომიტეტთან.

სპეცფონდების განსაზღვრა.

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის სატარიფო განყოფილებაში სწარმოებს წინასწარი მუშაობა იმ კომისიისათვის მასალების დასამზადებლად, რომელმაც უნდა განსაზღვროს სპეცფონდები ა/კავკასიის დაწესებულებათათვის.

ტარიფიკაციის გადასინჯვა.

ა/კ. პროფკავშირთა საბჭომ მოახდინა ა/კავკასიის დაწესებულებათა ტარიფების გადასინჯვა.

გლეხ მეურმეთა ქირის შესახებ.

სომხეთის შრ. სახ. კომისარიატმა ა/კ. შრ. სახკომის წინაშე მოაწესრიგოს გლეხ მეურმეთა ქირის საკითხი. ა/კ. შრომის სახკომმა ეს წინადადება უარყო იმ მოსაზრებით რომ მეურმე გლეხები არ ეკუთვნიან დაქირავებული შრომის პირთა კატეგორიას.

დახმარება დროებით შრომის უნარ დაკარგულთ

ა/კ. შრომის სახალ-კომმა განმარტება დაუგზავნა სათანადო დაწესებულებებს, იმის შესახებ, რომ ისეთ შემთხვევებში, როცა დროებითი შრომის უნარდაკარგულთ დახმარება ეძლევა ფაქტიური ხელფასის რაოდენობაზე ნაკლები, არც წარმოება და არც სხვა რომელიმე ორგანო ვალდებული არ არის მისცეს დაზღვეულს დამზღვევი კასის დახმარება და ფაქტიური ხელფასის შორის არსებული განსხვავება.

მშრომელთა ჯალათების გასამართლება

ლ. მახარაძის, ფ. კედიას და სხვათა საქმე

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

6 დეკემბრის სხდომა.

გრძელდება მოწმეების დაკითხვა. თითქმის ყველა ასწერს ყაზახებისა, ჩაჩნებისა და საერთოდ „სტრაჟნიკების" მხეცობას, სახლ-კარის დაწვას, ქალებისა და ბავშვების აწიოკებას, ცემა-ტყეპას, ხშირათ დასახიჩრებას, გადასახლებას და ზოგ შემთხვევაში სიკვდილსაც. თითქმის სულ ყველა მახარაძესა სთვლის ამ ამბების ხელმძღვანელათ. ბევრი ამას ამოწმებს ხალხის თქმით, ბევრი კი თვითონ ყოფილა მოწმე ამისა და თავის ზურგზე გადაუტანია ყველაფერი ეს უბედურება.

ყველაფერ ამას მახარაძე ასრულებდა უმთავრესათ ხელქვეითების შემწეობით. თვითონ მახარაძე კი ირწმუნება რომ მაშინდელ გამწვავებულ ხანაში სტრაჟნიკები და ყაზახები ხშირათ თვითნებობდენო და ვითომ ის ამ უბედურების გამომწვევი არ ყოფილიყოს. მაგრამ ირკვევა რომ სერაფიონ წითლაშვილისთვის მახარაძეს თავის ხელით დაურტყამს დანა ხელში და ეხლაც ამჩნევია დაშავებულს ეს ჭრილობა.

სტრაჟნიკ აბაშიძეს გამოურთმევია ვლადიმერ ქათამაძესთვის 500 მ. მახარაძეს უნდა გადავცეო დი გაგიშვებსო. ქათამაძე კი გაუშვიათ, მაგრამ მახარაძე უარყოფს ფულის მიღებას.

მთელი პროცესი თითქმის სულ მახარაძის გარშემო ტრიალებს. მახარაძე თვითონაც დიდ მონაწილეობას იღებს მოწმეების შეკითხვებში.

ყველაზე ცოცხალ ინტერეს იწვევს მოწმე ალ. ვაშაკის (შორ. მაზ. აღმასკომის თავმჯდომარე) ჩვენება. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ კედიას განკარგულებით ციხის წინ გაუწვევიათ ვიღაც ახალგაზრდა გურული და ზედ გადაუტარებიათ ცხენი, რომ აეძულებინათ იგი გაეცა თავისი ამხანაგები.

შეკითხვების დროს კედია ძალიან ღელავს და არ ეხერხება ჩამოყალიბებული პასუხის მიცემა. ამ მხრივ ბევრათ უფრო დახელოვნებულია მახარაძე.

მოხუცი **მოლალურიძე** აჩვენებს, რომ მის სახლში ლაშით ბინადრობდენ მერკვილაძის რაზმელები, მათ დასცემია მაზრის უფროსი მანსვეტოვი და ბოკ. მახარაძე თავიანთი რაზმით. ბრძოლის დროს მოუკლავთ ერთი რაზმელი და თვით მოლალურიძის მამა, ცოლი, ქალიშვილი და ვაჟიც დაუჭრიათ. მოწმე მახარაძე აბრალებს ყველა ამ უბედურებას. მახარაძე კი ცდილობს ეს ბრალდება უარყოფ. მაზრის უფროს მანსვეტოვს მიაწეროს. მოწმე ხიჯაკაძის ჩვენებით მახარაძეს ცოცხლათ ჩაუგდებიათ კაცი ცეცხლში, ერთისთვის თავის ხელით მოუჭრია თავი. ამაზე ყველა ლაპარაკობდა.

იაკობ ქუცურიძეც იასონ ცუცქირიძის სიტყვით ასწერს მერკვილაძის და მის სამი ამხანაგის უკანასკნელ წუთებს და მახარაძის როლს მათ მკვლელობაში.

შუა სხდომის დროს სასამართლოს წინაშე წარსდგება მუშების დელეგაცი და მოითხოვს დამნაშავეთა ღირსეულათ დასჯას.

საბჭოთა სასამართლო

სვანიშვილის გაძარცვის საქმე

5 და 6 დეკემბრის დილის და საღამოს სხდომებზე გრძელდებოდა მოწმეების დაკითხვა. დაკითხული მოწმეები—დაზარალებულები აკაკი, ოლღა და ქსენია სვანიშვილები საბუთით ადასტურებენ იმ ჩვენებას, რომელიც წარადგინეს წინასწარ გამოძიების დროს.

მოწმე აკაკი სვანიშვილი აცხადებს, რომ მისი სახლიდან გასვლა ვერ უნდა შეენიშნათ მძარცველებს, რადგანაც ის წავიდა ლენინგრადის ქუჩით. ის ლაპარაკობს, რომ კასის არსებობა მძარცველებს ზუსტათ ეცოდინებოდათ, მაგრამ იმ მეორე კასალების შესახებ, რომელიც ჰქონდა მის დედას, მძარცველებს არაფერი ეცოდინებოდათო. მისი სიტყვით, ა. სვანიშვილი სრულებით არ ფიქრობდა, თუ ძარცვაში მონაწილეობას მიიღებდა ამაშუყელი. მეტად საინტერესო ჩვენებას იძლევა სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ამხ. ჯაჯანია, რომელიც პირადათ იძიებდა ამ საქმეს. დაკითხვიდან ირკვევა, რომ გაძარცვის საქმის „სულისჩამდგმელი" ყოფილა სწორედ ამაშუყელი. როცა ჯაჯანია მივიდა მის დასაპატიმრებლად, მან ჯიბის დანით გაიჭრა ყელი.

ამაშუყელი კი დაკითხვის დროს აცხადებს, რომ მან თავის მოკვლა განიზრახა ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე.

დანარჩენი ოთხი მოწმის დაკითხვის შემდეგ, სასამართლო გადადის თვითეული ბრალდებულის დაკითხვაზე. ბრალდებული თალაკვაძე გულახდილად აღიარებს, რომ თავდასხმის ინიციატორი იყო ის. მან ეს ჩაიდინა მატერიალური გაჭირვების გამო. ის აცხადებს აგრეთვე, რომ ამაშუყელი ყოველთვის თან დაჰყვებოდა მძარცველებს სვანიშვილის სახლამდე და წინდაწინ აცნობდა მათ ბინის მდგომარეობას. ის ამბობს, რომ ამაშუყელმა, ალბად, არ იცოდა, რომ კასის მეორე გასაღები ჰქონდა სვანიშვილის დედას. პროკურორის შეკითხვაზე, თუ რითი აიხსნება მძარცველების ფრთხილი მოპყრობა დაზარალებულებისადმი, თალაკვაძე უპასუხებს, რომ მას უნდოდა „მხოლოდ ფული და სხვა არაფერი."

განაჩენი

დაკითხვის და მხარეების კამათის დასრულების შემდეგ სასამართლომ გამოაქვს შემდეგი განაჩენი:

საქმის [illegible] თალაკვაძეს, მ. კვანტრიშვილს და ს. ოსიძეს მიესაჯოს ხუთ-ხუთი წლის ციხე სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით; აკაკი ამაშუყელს, როგორც სვანიშვილის სახლის გეგმის მიმცემს და შიგნიდან საქმის მომწყობს, რომელიც არ გამოტყდა დანაშაულში,—მიესაჯოს ექვსი წლით ციხე, სასტიკი იზოლიაციით და ქონების კონფისკაციით. თვითეულ მათგანს აღეკვეთოს უფლებები სამი წლით. სასჯელის მოხდა ჩაეთვალოს ბრალდებულებს დღიდან დაპატიმრებისა. ბრალდებულები: ხუციშვილი, კობერიძე და ნიკოლოზ ოსიძე, რომელთა მიმართ ბრალდება არ დამტკიცდა, განთავისუფლებული იქნენ.

კაზანცევის მუხრუჭის გამოცდა

7 დეკემბერს მოხდა მემანქანე კაზანცევის მუხრუჭის გამოცდა, რომელმაც ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. 25 კანადის ცისტერნი, (წონით 78,5 ათასი ფუთი), რომელნიც შეჭურვილი იყვნენ მემანქანე კაზანცევის მუხრუჭებით, სურამის უღელტეხილის გადავლით მშვიდობიანად ჩავიდა ბათომში. სურამის უღელტეხილზე, სადაც აკრძალულია 15 ვერსზე მეტი სიჩქარე საათში, ამხ. კაზანცევი, რომელსაც თვითონ მიჰყავდა მატარებელი, დავალებით ანვითარებდა და ანელებდა სიჩქარეს, ორჯერ კი უეცარი დავალებით შეაჩერა მატარებელი—პირველად 15 ვერსის სიჩქარით ხოლო მეორედ 35 ვერსით მავალი.

სად. ხაშურზე კაზანცევმა გააცნო მუშებს თავისი გამოგონება. სად. ხაშურიდან მატარებელი მიჰყავდა თვითონ კაზანცევს. სად. წიფაზე დაკეტილ სემაფორის გამო, კაზანცევი აჩერებს მატარებელს ყოველგვარ ბიძგის გარეშე. გამოცდის პირველმა ნაწილმა საუცხოვო შედეგი გამოიღო სად. წიფიდან მატარებელი ანვითარებს 35 ვერსს სიჩქარეს საათში.

გამოცდა მეორე ნაწილშიც მშვენივრად ჩატარდა. ჩვეულებრივ, როდესაც ხმარობენ ვესტინგჰაუზის მუხრუჭს, უკანა ნაწილი არ ემორჩილება მუხრუჭს და მოიწევს წინა ნაწილისაკენ. ამხ. კაზანცევის მუხრუჭის გამოყენების დროს არავითარ ბიძგს არა აქვს ადგილი და მატარებელი ჩერდება უეცრად.

უცხოეთში დაიფასეს ამხ. კაზანცევის გამოგონება, რომელშიც მას აძლევდენ დიდ ფულს, მაგრამ მუშა-გამომგონებელმა ამ სასყიდელზე უარი განაცხადა და გამოგონება დაუთმო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებას.

ნარევი

შექსპირის ავტორობის საკითხი.

კამათი შექსპირის ავტორობის შესახებ დღემდის გრძელდება უცხოეთში. ამჟამად ცნობილი გერმანელი მეცნიერი, ფრეიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ფრიდრიხ ბრი გერმანიის „ლიტერატურულ გაზეთში" მიუთითებს აღმოჩენაზე, რომელიც თითქოს საბოლოოთ ადასტურებს ვილიამ შექსპირის დღემდი სადაო ავტორობას. ეს აღმოჩენა ეკუთვნის ჯერ კიდევ 1916 წ., მაგრამ მას ომის დროს ყურადღება არ მიაქციეს.

ახლა ხელმეორედ გამოვიდა წიგნი „შექსპირის ავტორობის საკითხი". ამ წიგნში ხუთი სპეციალისტი-მეცნიერი: პოლლარდი, ვილსონი, გრეგი, მაუნთ ტომპსონი და ჩამბერსი დაწვრილებით არჩევენ ამ აღმოჩენას.

ლაპარაკია შემდეგზე. ინგლისის ნაციონალურ მუზეუმში ინახება უძველესი დრამის ხელთნაწერი, რომლის სიუჟეტი არის ცნობილი ტომას მორი. უკვე 1870 წლიდან ამტკიცებენ, რომ ამ დრამის 6 სცენა, სადაც ლაპარაკია 1817 წლის მაისის აჯანყებაზე, შეთხზულია და დაწერილი თვით ვილიამ შექსპირის მიერ. მაგრამ მხოლოდ 1916 წ. ედვარდ მაუნდ ტომპსონმა გამოაქვეყნა ამ სცენის 147 სტრიქონის გამოკვლევა. ამჟამად კი აღნიშნული ხუთი მეცნიერის კოლექტიურ შრომაში დაწვრილებით არის განხილული და გარჩეული ამ სტრიქონების თითეული ნაკვთი, თითოეული ხაზი, აღნიშნული დრამის სტრიქონები შედარებული არიან ვილიამ შექსპირის 6 ნამდვილ ხელისმოწერასთან.

ამ შრომის შესრულების შემდეგ ავტორები მივიდენ იმ დასკვნამდი, რომ აღნიშნული ხელთნაწერი ნამდვილათ ეკუთვნის ვილიამ შექსპირს.

ყინულიანი პერიოდის „სამხატვრო გალერეა".

სორბონის უნივერსიტეტის სტუდენტმა ნორბეტ კასტერემ მოახერხა შესვლა ერთ-ერთ მღვიმეში, რომლებიც მრავლათ მოიპოვებიან პირენეის მთების ძირში ჯერ მას მოუხვდა მიწის ქვეშ მდინარეზე ერთი ვერსის გავლა, შემდეგ წყლის ქვეშ ორი წუთის განმავლობაში ყვინთვით გაცურვა. ამის შემდეგ ის მოხვდა დიდ მიწის ქვეშა დარბაზში, რომლის სიგრძე უდრის 100 მეტრს და სიმაღლე 7 მეტრს. მეორე დარბაზის სიგრძე უდრიდა 150 მეტრს. კედლებზე იპოვეს ოროსორმოცდაათი სურათი ცხოველების, რომლებიც ძველ დროში სცხოვრობდენ პირინეის კალთებზე

ყველა სურათები დაფარულია გამჭვირვალე მინისებური სითხით რაც ამტკიცებს რომ ეს სურათები უძველეს ეპოქას ეკუთვნიან. სხვათა შორის მღვიმეში იპოვეს რამდენიმე ქანდაკება თიხიდან. მათ შორის ერთი ფიგურა დათვის, რომლის სიგრძე უდრის ნახევარ საჟენს, სიმაღლე კი ორ ფუტს, ცხოველების ყველა ფიგურებს, გარდა ცხენებისა, გარჭობილი აქვთ ტანში ისრები. როგორც სჩანს, მონადირეთა ტომის მზაკვარები აქ ასრულებდენ „სამღვთო" ცერემონიებს.

მუშათა ცხოვრება

ქუთაისის შალის საქსოვი ქარხანა

აღნიშნული ქარხანა მოთავსებულია ჭავჭავაძის ქუჩაზე ყოფილ სამხედრო საწყობებში გიმსაილის წინ. მართალია ძნელია ქარხნისთვის უკეთესი სადგომის ამორჩევა. 5 ქცევა მიწის სივრცეზე გაჭიმული ყოფილი რვა საწყობი, რომელიც თითქოს საგანგებოდ აუშენებიათ ქარხნისთვის და რომელშიც თავისუფლად მოთავსებულია მთელი ქარხანა, თავისი სხვადასხვა დარგებით. შენობებს აერთებს ვიწრო ლიანდაგი, რომელზეც სწარმოებს ტვირთის მექანიკური მოძრაობა.

როგორ მუშაობს ქარხანა

ამჟამად ქარხანაში მუშაობს იმდენი მატყლის დასამუშავებელი მანქანა, რამდენიც საჭიროა, რომ მუდმივი მასალა ჰქონდეს 8 საქსოვ მანქანას. ქარხნის პროდუქცია ყოველთვიურად მატულობს. დღიდან მისი ფაქტიურად ამუშავებისა, წარმოება გამოიხატა: 1924 წ. 15 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე—1067,5 მეტრი მაუდი, ხოლო ოქტომბერსა და ნოემბერში ერთად 1.700 მეტრი, რაც ადასტურებს ქარხნის ნაყოფიერების ზრდას ასი პროცენტით. მაუდი გამოდის კარგი ღირსების და ფასით იაფად, რის გამო ქარხანას დიდძალი შეკვეთები აქვს. ქარხნის ნედლი მასალის სათანადო რაოდენობით უზრუნველყოფის შემთხვევაში, 8 საქსოვ მანქანასთან შეიძლება ამუშავდეს ამჟამად უძრავი 39 საქსოვი მანქანა, რომლებსაც ახლა აწყობენ. უკანასკნელ შემთხვევაში ქარხნის ნაყოფიერება ერთი ხუთად გაიზრდება და ეყოფა მთელ სახელმწიფოს. ამჟამად კი მატყლის მარაგი არსებულ ტემპით დასამუშავებლად ქარხანას ეყოფა 6 თვეს.

მუშათა მდგომარეობა.

მუშების რიცხვი უდრის 109 კაცს, მათ შორის 30 ქალია. პირველ ხარისხის მომუშავეთათვის დაწესებულია მინიმუმად 13 მ. 50 კ. 1:8 შეფარდებით. მუშებს აქვთ საკუთარი კლუბი სამკითხველოთი. ყველას მოსდის გაზეთი; ყველა ჩაწერილია წევრებათ კოოპერაციაში, [illegible] „[illegible]" და „[illegible]". ქარხანა შეფია სოფ. მოხიანის, რომელსაც ის აწვდის სათანადო ლიტერატურას და სხვა. განზრახულია კედლის გაზეთის გამოცემა; დრამატ. წრის დაარსება და სხვა.

მუშათა ქალები ესწრებიან ქალთა კრებებს კავშირის ბინაზე. მუშებს აქვთ საკუთარი ამბულატორია.

მუშაობის პირობები საერთოდ დამაკმაყოფილებელია.

სადგომები განიერი, სინათლიანი და თბილია. მუშებს ეძლევათ საპონი და ადუღებული წყალი.

ქარხანაში დეფექტებიც მოიპოვება.

მატყლის სარეცხ განყოფილებაში ცემენტის იატაკზე საჭიროა დაიგოს ხის იატაკი, ან სხვა გზით იქნენ უზრუნველყოფილი მუშები გაციებიდან. არ არის სპეციალური ოთახი მუშების დასასვენებლად და საუზმისთვის, მუშებს შორის არიან წ. კ. უცოდინარნი, თუმცა უმნიშვნელო რიცხვში. ქარხანა არ ინახავს მატყლის ქონს, რაც გამოსადეგია წამლეულობისათვის. საჭიროა ვენტილიაციის მოწყობა.

იყო მანქანაზე მუშების დაშავების შემთხვევები.

მუშკორი ა. ნ—ლი.

გამოგზავნილი წერილებიდან

გაგვიღეთ სასადილო.

(მუშკოოპის საყურადღებოდ).

სადგურის ქუჩაზე, სადაც აუარებელი კერძო სასადილოებია, გაიღოს წითელი სასადილო, რომლითაც სარგებლობენ არა მუშები, არამედ ჩარჩი ვაჭრები, სპეკულიანტები. ლენინის უბანში კი, რომელიც ითვლებოდა და ითვლება მუშათა ცენტრად, ვერ ნახავთ ვერც ერთ წითელ სასადილოს, რომ მუშას შეეძლოს სადილობა. საჭიროა ლენინის უბანშიც გაიხსნას წითელი სასადილო.

მუშკორი შორეული.

ჩვენი მუშკოოპი კარგად მუშაობს

(ჩვენი სურამელ მუშკორისაგან)

ნოემბრის 16-ს ადგილობრივ მუშათა კლუბის დარბაზში შესდგა საერთო კრება ქ. სურამის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებისა, თავმჯდომარეობდა ა. ქ. ბ ძე. დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები.

1) მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) გამგეობის გადარჩევა.

მოხსენება გააკეთეს ამხ. ამხ. ზახაროვმა, ვარსიმაშვილმა.

კრებამ გამგეობის მუშაობა მოიწონა, რისთვისაც გამგეობაში ისევ ძველი შემადგენლობა დასტოვა, მხოლოდ ორი დამატებითი წევრი კიდევ შეიყვანეს მასში.

მუშკორი ი. გოგოშიძე.

საჭიროა აილაგმონ ასეთი სახლის პატრონები

(მე-10-ე სამილიციო უბნის საყურადღებოდ).

ნიკოლოზის ქუჩაზედ № 110 მდებარე სახლის პატრონი ფრანკი უდიერად ეპყრობა მდგმურს ამხ. ჯოჯიშვილს. მიზეზი ის არის, რომ ამხ. ჯოჯიშვილი, როგორც მოხელე და მასთან მცხოვრები ამხ. შალიკოვა, როგორც საბჭოთა მოსამსახურე და პროფკავშირის წევრი, იხდიან კანონიერ ქირას. ეს ბ. ფრანკს არ მოსწონს და ყოველგვარად ავიწროებს ზემოხსენებულ მუშა-მდგმურებს, რომ აიძულოს და სახლი დააცლევინოს და მათ ნაცვლად დააყენოს ვინმე [illegible] ძლებული ვაჭარი. ამისთვის [illegible] ისინი ბნელ ოთახებში, კარებიც გააუქმა; ასე რომ ისინი დიდი [illegible]ალებით გამოდიან გარეთ.

[illegible] ასეთ თავხედობას საზღვარი უნდა დაედვას.

ტექნიკოსი № 1.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **ადგილკომის გადარჩევა.** 5 დეკემბერს რკ. გზ. პროფგანათლების კურსების მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოხდა ადგილკომის ხელახალი გადარჩევა. დელეგატებითურთ არჩეულია 9 კაცი.

— **ლექციები.** რკ. გზ. ინჟინერ-ტეხნიკოსთა კავშირი შეუდგა ლექციების ჩატარებას მთელ ხაზზე.

— **ბათომის კვანძის** მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე არჩეულია გაერთიანებული ადგილკომი 13 კაცის შემადგენლობით,

— **ს. ტრანსპორტო კოოპერაციის ყრილობა.** „ზაკტრანსპ"-ს გამგეობამ დაადგინა სატრანსპორტო კოოპერაციის ყრილობა მოიწვიოს დეკემბრის შუა რიცხვებში.

— **დელეგატებად** სატრანსპორტო კოოპერაციის ყრილობაზე დასასწრებლად ბათომის რკინისგზელთაგან არჩეულია 4 დელეგატი.

— **რა დაევალა ახალ ადგილკომს.** ბათომის კვანძის რკ. გზ. მუშამოსამსახურეთა საერთო კრებამ დაავალა, რათა ახალმა ადგილკომმა იზრუნოს პროფმუშაობის მასიურ გაღრმავებისათვის და კავშირის მუშაობაში ქალთა ჩაბმისათვის.

— **წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციოთ.** სად. თბილისის მოძრა[illegible]ობის დარგის [illegible] სალიკვიდაციოდ სკოლაში [illegible] 60 კაცი.

— **მომღერალთა გუნდი** სად. თბილისის მოძრაობის დარგთან დაარსებულია მუშათა მომღერალთა გუნდი, რომელშიაც ირიცხება 60 კაცი.

იურიდიული დახმარება

ამხ. მუშებს

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება იმისა; ადმინისტრაციას უფლება აქვს თუ არა, თვითონ, ვინც უნდა, აიყვანოს შეგირდათ, ან-და აიყვანოს ბირჟიდან შეგირდი—რიგს გარეშე?

რკინის გზის სტამბის მანქანაზე მომუშავე აფრიდონიძე.

პასუხი:

თავის თანამშრომლების თავის შეხედულებით არჩევის უფლება შრომის ბირჟის გაუქმების შემდეგ ადმინისტრაციას აქვს, მიუხედავათ იმისა, თუ რომელ პ. საკშიაც ისინი ითვლებიან.

ჩვენი პასუხი

(მუშკორ გ—ვის)

გაზეთ „კომუნისტი"-ს მე-250 №-ში დაბეჭდილი იყო პარტკორის გ—ვის წერილი ა.კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში სამართველოს საქმეთა მმართველის შესახებ სათაურით: „თავგასული საქმეთა მმართველი".

წერილში მოყვანილი ცნობების ისწორის გამოსარკვევად დანიშნული იყო რწმუნებულის, ადგილკომის და კომუჯრედის მიერ სპეციალური კომისია, რომელმაც მოახდინა სათანადო კვლევა-ძიება და აღმოაჩინა, რომ ბრალდებანი საქმეთა მმართველის ამხ. გ. ჯაფარიძის წინააღმდეგ გამოყენებული მოკლებულია რეალურ საფუძველს, ჩვენი საქმეთა მართველი დიდი ხნის გამოცდილი თანამშრომელია და ეკუთვნის იმ დასაფასებელ პირთ, რომელნიც სრული ენერგიით და გულწრფელად ემსახურებიან საბჭოთა ხელისუფლებას და მისი უსაფუძვლოდ შეურაცხყოფა სამწუხარო გაუგებრობათ უნდა ჩაითვალოს.

კომისია: 1. ა. კ. ფინსახკომის რწმუნებულის მოადგილე ი. ფანჯხავა.

2. ადგილკომის წევრი ქორქია.

3. კომუჯრედის წევრი [illegible]

ქრონიკა

— **[illegible] ფრენა სომხეთში.** 7 დეკ. თბილისიდან ა/კ. საჰაერო ფლოტის საზოგადოების ჰაეროპლანით [illegible] გადაფრინდენ ამხ. ამხ. სერ. ორჯონიკიძე, შ. ელიავა და ლაკობა.

— **საქ. სახ. კომისართა საბჭომ** მიიღო გამოსაქვეყნებლათ საქ. ეკონომ. საბჭოს მიერ წარდგენილ დადგენილების პროექტი კოოპერაციის შესახებ.

— **აგარაკი წყალტუბო.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჯანსახკომის მიერ წარმოდგენილი გეგმა აგარაკ წყალტუბოს საზღვრების გაფართოებისა და დაცვის შესახებ.

— **სასამართლო ზემო-სვანეთში.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა ზემო-სვანეთში დაარსოს ერთი სასამართლო და ერთიც საგამომძიებლო.

— **წითელ-არმიელთა წერილები.** ფოსტა-ტელეგ. სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა თავის დაწესებულებებს წითელ-არმიელების წერილები, რომელზედაც მისამართში აღნიშნული იქნება „პოლიტმაედარს" ან „კაზაკს" გადააგზავნონ უფასოთ.

— **ლენინგრადის სასარგებლოთ.** ფ.-ტელ. კომისარიატმა გამოუშვა მარკები ლენინგრადის სასარგებლოთ. მარკების შეძენა ნებაყოფლობითია.

— **ექიმები საზღვარ გარეთიდან.** საზღვარგარეთ სწავლა დასრულებულ ექიმებს უფლება ეძლევათ იმუშაონ საქართველოში თავიანთ სპეციალობის მიხედვით, თუ წინასწარ ჩააბარებენ გამოცდებს საბჭოთა კავშირის რომელიმე უნივერსიტეტს.

— **მუშათა მედიცინის სამმართველომ** მაზრება დაუგზავნა უწყებები მაზრებიდან ავადმყოფების გამოგზავნის პირობების შესახებ.

— **ჯანსახკომმა** საზღვარგარეთ ქრონიკულ ავადმყოფობის და ფიზიო-ტერაპევტიულ კაბინეტებისათვის საჭირო იარაღების შესაძენათ გადასდო 11,090 მან.

— **ა/კ. სასოფლო - სამეურნეო** ბანკის წარმომადგენლებით საკავშირო სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ყრილობაზე, რომელიც შესდგება მოსკოვში, დაინიშნენ ამხ. ამხ. ჩხენკელი, ათაბეგოვი და ტოპაკანოვი.

— **საქართველოში ხილის დასამზადებელ ოპერაციებისათვის** ა/კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 67,000 მან.

— **მიწად-მოქმედების** სასოფლო-მეურნეობის განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა მთელ საქართველოში მესაქონლეობის გამოკვლევის შესახებ სამი წლის განმავლობაში.

— **მარქსის სახელობის** საპნის ქარხანამ ნოემბერში დაამზადა ტოლლე—4200 ფუთი, „მამალი"—1800 ფ. ქარხანაში მუშაობს 32 მუშა, ორი შეცვლით.

— **ლენინის სახელობის** ტყავის ქარხანამ ნოემბერში დაამზადა 1714 მსხვილფეხა საქონლის ტყავი და 1247 წვრილფეხა საქონლის ტყავი. დამზადებული მასალის ღირებულება უდრის 59.500 მან.

— **ფუტკრის ავადმყოფობასთან** ბრძოლა. მიწადმოქ. სახ. კომისარიატის მეფუტკრეობის ბიურომ ამერიკიდან გამოიწერა ფუტკრის ავადმყოფობასთან (სიმყაყესთან) საბრძოლველი წამალი.

— **სახალხო მამულების ტრესტმა** მამულების საჭიროებისათვის შეიძინა 40 ათასი გრადუსი სპირტი.

— **რუსეთის სახ. ვაჭრობამ „ვინტორგ"**-მა ვარდის-ციხის სახალხო მამულიდან და საქარის საცდელ მამულიდან (ორივე იმერეთშია) შეიძინა 80 ათასი ვედრო ღვინო.

— **იურიდიული საზოგადოების კრება.** ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სის. სამ. განყოფილების დარბაზში, შესდგება იურიდიული საზოგადოების წევრთა მორიგი სხდომა, რომელზედაც პროფ. თიკანაძე და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის წარმომადგენელი გააკეთებენ მოხსენებას აბორტზე შეხედულებით მედიკურ და სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით.

შემთხვევანი.

— **მოპარულ ნივთებით ვაჭრობა.** 6 დეკ. ჯარისკაცთა ბაზარში შეიპყრეს ვინმე გამყოლაძე, რომელიც ჰყიდდა დილიძის ბინიდან (არშ კუნოვის შესახ. № 13) მოპარულ ნივთებს.

— **ქურდი მეეზოვე.** 6 დეკ. შეიპყრეს მეეზოვე მასხი ნეცი, რომელსაც ბრალდება ლუბა ლუხუძის ბინიდან (რუსთ. პრ. № 39) ნივთის მოპარვა.

— **ცეცხლი.** 6 დეკ. კოლღნოვის ქ. № 13, სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილ იქნა ადგილობრივი ძალებით. ზარალი უმნიშვნელოა.

— **ქურდი ქალი** 7 დეკ. შეიპყრეს გარდიკია ასათუროვა რომელსაც ბრალდება ეკატერინე ლორთქის გაქურდვა.

— **დაჭრა.** 8 დეკ. დილის 4 საათზე თავისუფლების მოედანზე სტეფანე არუთინოვმა დანით დასჭრა შაქრო ასათუროვი და ამბარცუმ მ[illegible]. დამნაშავე შეიპყრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

— **მაღაზიის გატეხვა** 7 დეკ. პლეხანოვის პრ. № 61, გატეხეს მიქელაძის სავაჭრო

— **პალტოს მოპარვა** 6 დეკ. ბალ „ფანტაზიაში" მოქ. ანა ზირეს მოჰპარეს პალტო ღირებული 100 მან.

— **შეპყრობა** 6 დეკ. პლეხანოვის პრ. № 15 სახლში შეიპყრეს ქურდი [illegible] კოპაინცი, რომელსაც უნდა გაექურდა [illegible] ბინა.

— **დაჭრა.** 7 დეკ. ვარდის მოედანზე მოქ. მიკიტიჩ ტერ-არუთინოვმა ჩხების დროს დანით დასჭრა ლევან სარქისოვი

— **ქურდობა.** 6 დეკ. გრიბოედოვის ქ. № 5 გაქურდეს მოქ. დავით ზარ ძის ბინა. წაღებულია 323 მან. ნივთები.

— **ქურდი ცოლის ძმა.** 6 დეკ ვერის დაღმართი № 29 მოქ. პავლე დოლაია გაქურდა ცოლის ძმა ალექსი ვასილიევმა. წაღებულია 237 მ. ნივთები.

— 6 დეკ. სასტუმრო ქ. № 3, გაქურდეს მოქ. ანასტასია გვაძაბიას ბინა, წაღებულია 155 მ. ნივთები.

— ამავე დღეს გრიბოედოვის ქ. № 26 მოქ. ანტონ იუსტელოვ-ანტონოვს მოპარეს 113 მ. ნივთები.

— ამავე დღეს სამრეკლოს ქ. № 17 მოქ. ალექ ჯაფარიძის ბინიდან მოიპარეს 124 მ. ნივთები.

— 6 დეკ კუბინის შესახ. № 3 მოქ. სალეკანოვის ბინიდან მოიპარეს 192 მან. ნივთები

— ამავე დღეს გაქურდეს მოქ. არხიპ ხუხიანცის ბინა (თებერვლის ქ. № 1), წაიღეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

— ამავე დღეს სამოსწავლო შესახ. № 7 გაქურდეს მოქ. ლიდია ფროტის ბინა. წაიღეს 58 მან. ფულად.

— ამავე დღეს, მე-5 პროექტის ქუჩაზე მცხოვრებ ანტონ ბოლენკოს ბინიდან მოიპარეს 00 მან. ნივთები.

— **დუქნის გაქურდვა.** 7 დეკ კრასნი გორის შესახ. № 2, გაქურდეს მაგდალინა ბაქრაძის დუქანი. წაიღეს 170 მან. ნივთები.

ქართველ მხატვართა სურათების გამოფენა

ჩვენი მხატვრობა ჩქარი ნაბიჯით ვითარდება. ამის დამამტკიცებელია ქართველი მხატვრების სურათების გამოფენა, რომელიც მოწყობილია განათლების მუშაკთა სახლში.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც შედიხართ გამოფენაზე, თქვენ თვალში გხვდებათ სურათების სიუხვე. გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, გამოფენაზე წარმოდგენილია თითქმის ყველა ქართველი მხატვრები (არ სჩანან ირ. თოიძე და დ. შევარდნაძე).

უმრავლესობა მხატვრებისა ახალგაზრდები არიან, მათ გამოფენილი აქვთ თავისი პირველი ნაშრომები. რომლებიც ჯერ კიდევ დამთავრებელი ძიების ნიშნით არიან აღბეჭდილი. ამათ არის ნება, სხვათა შორის ისიც, რომ გამოფენაზე არ არის არც ერთი დიდი ტილო.

სურათები მეტწილათ შეიცავენ პორტრეტებს და პატარ-პატარა ეტიუდებს და ესკიზებს. პორტრეტებს შორის საყურადღებოა [illegible] მხატვარი: მოსე თოიძე („სამოვარის მელოდია"; [illegible]—ჯაიანის ასული), აპ ქუთათელაძე (თ. ვ—ძის პორტრეტი), და ირ. ტოფაძე (გალაკტიონ ტაბიძის, ვარ. რუხაძის და ხარ. ვარდოშვილის პორტრეტები).

იშვიათი სიყვარულით და გრძნობით არის გაკეთებული ვ—ძის ასულის პორტრეტი მხატვარ ქუთათელაძის მიერ. ჩაღრმავებულ გიჟრის თვალების გადმოცემაში სჩანს მხატვარის ტალანტი და ინტუიცია.

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის მთელი სიღრმე და უსაზღვრო სევდა აღბეჭდილია პოეტის პორტრეტზე. ეს სურათი მედეგრათ უნდა ჩაითვალოს.

ლამაზ და ჰარმონიულ ფერებშია მოქცეული „სამოვარის მელოდია" საღამოს ბინდში. მოსე თოიძემ, როგორც დახელოვნებულმა ოსტატმა, თავის ხაზების და საღებავების დამორჩილება.

ვ. სიდამონ-ერისთავის ფანტაზია ისტორიულ საქართველოს დასტრიალებს და იქიდან კრეფს ძველ ქართულ ტიპებს.

ლამაზია მისი „განშორება" და „მოგონება".

ეტიუდებით და ესკიზებით წარმოდგენილი მხატვრები შეიძლება მივაკუთვნოთ ორ მთავარ სკოლას: რეალისტურს და ფუტურისტულ-კუბისტურს. პირველი სკოლის მიმდევართა შორის არიან გამართულნი და დამთავრებული მხატვრები.

მეორე ჯგუფი ჯერ კიდევ ძიებაშია; მათ შორის აღსანიშნავია მიხ. გოცირიძე, ნადარეიშვილი და სხვები, რომელთაც ნაწილობრივ ლ. გუდიაშვილის გავლენა ემჩნევათ. უბრალო ფერებით გადმოცემული პეიზაჟები ნ. ფიროსმანის გავლენით არის დაწერილი.

ცალკე სდგას ირ. გამრეკელი. ის უკვე დამთავრებული მხატვარია. მისი სურათები ყურადღებას იპყრობენ ხაზების და ფერების თავისუფალი, გაბედული გამოყენებით; ამ მხრივ შესანიშნავია ტ. ტ. პორტრეტი.

გამოფენაზე ჩვენ ვხვდებით ისეთ მხატვრებსაც, რომლებსაც თავისი ნიჭი უძღვნიათ ჩვენი ისტორიული ნაშთების ქაღალდზე აღბეჭდვაში. ამ მხრივ საყურადღებოა ელენე საყვარელიძე („ძველი თელავი") და წიოსანი (ბაგრატის ტაძრის ნანგრევები).

მოკლე წერილში შეუძლებელია თვითეული მხატვარის ცალკე დახასიათება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყველა მხატვრების შემოქმედებაში სჩანს ნიჭი, სიახლის ძიება და საკუთარ თავზე მუშაობა.

მომავალ გამოფენაზე ჩვენ, ალბათ, მოწმე ვიქნებით მათი ნიჭის კიდევ უფრო ფართოთ გაშლის და მაშინ ადგილი აღარ ექნება იმ დაუკმაყოფილებლობის გრძნობას, რომელსაც ეხლა მაინც განიცდის მნახველი მიუხედავათ გამოფენის ასეთი მრავალფეროვნებისა.

სურათებთან ერთად ეხლანდელ გამოფენაზე მნახველის ყურადღებას იპყრობს ხელოვნების მეორე დარგი—მოქანდაკეობა, რომელსაც აქამდი ჩვენში მხოლოდ ერთად-ერთი წარმომადგენელი ჰყავდა—იაკობ ნიკოლაძე.

პირდაპირ აღტაცებაში მოდიხარ როდესაც ხედავ, თუ როგორ სწრაფათ იზრდება ჩვენში მარმარილოზე შეყვარებულ ხელოვანთა რიცხვი.

გამოფენაზე წარმოდგენილი არიან: იაკობ ნიკოლაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, გ. სესიაშვილი, იოვანე პატარიძე, რაისა აბრამია და ნინო წერეთელი.

„ქვის ვნებით" ვ. კოტეტიშვილმა შესძლო ქვის ალაპარაკება და მისი საიდუმლოების გადაშლა. საუცხოვოა მისი „ავადმყოფი ბავშვი". ალ. ყაზბეგის ბიუსტი ხომ საუკეთესო გამოხატულებაა იმ გრძნობის, რომლითაც გამსჭვალულია ვ. კოტეტიშვილი ამ უიღბლო მწერლის მიმართ.

იაკობ ნიკოლაძე „კოცნით" ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ის დიდი ხელოვანი და უდიდესი ოსტატია თავისი საქმის.

გამარჯვებული არიან დანარჩენი ახალგაზრდებიც.

ერამხატვარი.

ხელოვნება

პროლეტკულტის თეატრი.

„გესმის მოსკოვო"

ხანგრძლივი სტუდიური მუშაობის და მზადების შემდეგ პროლეტკულტის წითელი თეატრის ქართულმა სექტორმა კვირას, 7 დეკემბერს, სახალხო სახლში დაიწყო თავისი საზამთრო სეზონი.

პირველ სანიმუშო წარმოდგენათ არჩეული იყო ტრეტიაკოვის პიესა „გესმის მოსკოვო".

პიესა აგიტაციური ხასიათისაა. იქ დასურათებულია ფაშისტების და მუშების ბრძოლა. გერმანელი მუშები სცდილობენ 7 ნოემბრისათვის მოაწყონ საპროტესტო დემონსტრაცია კომუნისტების დაპატიმრების და დახვრეტის წინააღმდეგ. მათ ხელს უშლიან ფაშისტები ერთი მოღალატე მუშის და ყვითელი სოციალისტების დახმარებით.

არჩევნებში ფაშისტების გამარჯვების აღსანიშნავათ დანიშნულია გრაფის ერთერთ წინაპარის „რკინის გრაფის" ძეგლის გახსნა ამ საზეიმო დღის გამო ფაშისტები და მათი დამქაშები—„სოციალისტები" მოწყალებას გაიღებენ და ციხიდან ანთავისუფლებენ ყველაზე უფრო უმნიშვნელო სისხლის სამართლის დამნაშავეებს.

მოედანზე შემოდიან ეს ტანჯული და შიმშილით ღონე მიხდილი ადამიანები, რომლებსაც გზას ულობავენ ფაშისტები. იწყება ბრძოლა. ფაშისტები გარბიან. გრაფი განკარგულებას იძლევა გახსნან ძეგლი, მაგრამ „რკინის გრაფის" მაგივრათ ისინი დაინახავენ ლენინის ბიუსტს. მუშები გამარჯვებული არიან. გაისმის ხმები: „გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს" და „გესმის მოსკოვო".

პიესა სიმბოლიურია. ის არ არის მოკლებული სცენიურ ეფექტებს. მოქმედება თანდათან ვითარდება და მესამე აქტში უმაღლეს წერტილს აღწევს.

დადგმას ემჩნეოდა რეჟისორის მზრუნველი ხელი. ეს პიესა მაინცადამაინც დიდ გასაქანს არ აძლევს რეჟისორის ნიჭს. ლამაზათ არის გამოყენებული სინათლის ეფექტები. კარგია მხატვარ კონსტანტინოვის დეკორაცია.

შესრულების შესახებ უნდა ითქვას, რომ პროლეტკულტის თეატრში არიან უდავო ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდები. სათანადო გაწვრთნის შემდეგ მათ შეუძლიათ უფრო რთული პიესების დაძლევა.

როგორც დადგმას, ისე შესრულებას ემჩნევა ჩვენი აკადემიური დრამის გავლენა. სტუდიელები სცდილობენ მიბაძონ დრამის ზოგიერთ მსახიობებს, პირველ ხანებში ეს სასურველიც არის, მაგრამ შემდეგში საჭიროა მეტი ინდივიდუალობის შეტანა შესრულებაში.

პიესა მწყობრად ჩატარდა. საჭირო არ არის მსახიობების ცალცალკე აღნიშვნა, ყველა ისინი თავიანთ ადგილებზე იყვნენ. ცოცხლად არის დადგმული მასიური სცენები. ლამაზია ფინალის ცოცხალი სურათი.

პროლეტკულტის წითელმა თეატრმა დაამტკიცა, რომ მასში დიდი შესაძლებლობაა დაგროვილი. მუშაობის ფართოდ გაშლის შემდეგ ის საყვარელ თეატრათ გახდება მუშათა უბნებში.

შ. ხ.

— **წითელი თეატრი** (ყოფ. სახალხო სახლი). დღეს, სამშაბათს, 9 დეკემბერს ქართულ ენაზე წარმოდგენილი იქნება „რიჟრაჟი" რკ. გზის მუშებისათვის უფასოთ. წარმოდგენის დასაწყისი სრულ 8 საათზე.

— **„ბარრიკადი"** იანვრის პირველისათვის გამოვა „ცისფერი ყანწების" გაზეთი „ბარრიკადი" ტიციან ტაბიძის რედაქტორობით.

— **იბეჭდება** და იანვრის ბოლო რიცხვებში გამოვა სანდრო შანშიაშვილის ლექსები, დრამები, პოემები და ტრაგედიები—სამ ტომად.

— **ვასილ ბარნოვმა** დაამთავრა ახალი ისტორიული რომანი: „გადატყდა ხმალი". ამჟამად მცხოვან მწერალს დასაბეჭდათ გამზადებული აქვს შემდეგი რომანები: „თეთრი გვირგვინი", „ქუფრი ლანდები", „მესთან დიდებისა" და „გადატყდა ხმალი".

— **დრამა.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „მზის დაბნელება".

— **ოპერა.** დღეს 9 დეკემბერს მიდის პირველად ამ სეზონში „რუსალკა". მონაწილეობენ: ბოგოლეპოვა, ბაბკინა, სტრუკოვ-ბარატოვი, ისეცკი და სხვა. დირიჟ. სტოლერმანი, ბალეტი სერგეევის დადგმით, ოთხშაბათს, 10 დეკემბერს მიდის „აბესალომ და ეთერი". აბესალომის პარტიას შეასრულებს ქუმსიაშვილი.

— **ვ. კოტეტიშვილის ლექცია.** დღეს, საღამოს 7 საათზე პლეხანოვის სახელობის კლუბში, (ლენინის უბანი) „წერკუმსის" (წერაკითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების) სასარგებლოთ შესდგება ვ. კოტეტიშვილის მოხსენება ალ. ყაზბეგის ავტორობის შესახებ.

სპორტი

შეჯიბრება ხარკოველებთან

ძალთა განწყობილების და თამაშის მხრივ ბათომ-ხარკოვის ფეხბურთელთა შეჯიბრება უდიდეს ინტერეს წარმოადგენდა.

თამაშის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ ხარკოველებს საქმე ჰქონდათ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ისე ადვილათ არ დასთმობდა თავის პოზიციებს.

ბათომელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ბრძოლის ინიციატივა, მათ გაშლილი ფრონტით შეუტიეს მოპირდაპირეს და მსაჯულის პირველი სიგნალიდან რამდენიმე წუთის გასვლის შემდეგ პირველი გოლი შეაგდეს ხარკოველების ბადეში.

პირველი გამარჯვების შემდეგ მათ კიდევ უფრო გააცხოველეს შეტევა; მათმა შეერთებულმა იერიშებმა და ტეხნიკურათ გამართულმა თამაშმა გაარღვია ხარკოველების წინააღმდეგობის რკალი და ამ ხნიდან ბურთი არ მოშორებია ხარკოვის გუნდის ჭიშკარს.

მე-15 წუთზე ხარკოვის გუნდის ბეკმა თავით მიღებულ ბურთს ვერ მისცა სათანადო მიმართულება და იგი თავის ბადეში შეაგდო. ბათომის უპირატესობა აშკარა გახდა. ხარკოველები არ ელოდენ ასეთ თამაშს მოწინააღმდეგის მხრიდან, ისინი დაიბნენ, სულით დაეცენ; ბათომელების უეცარმა და სასტიკმა შეტევამ მათ საშუალება არ მისცა გამოეყენებინათ თავისი ტეხნიკა.

რამდენიმეჯერ სცადეს მათ ბათომის გუნდის ფრონტის გარღვევა, მაგრამ იძულებული იყვნენ ისევ უკან დაბრუნებულიყვნენ. პირველი ჰავტაიმის ბოლოში ბათომელების გოლკიპერის წაქცევამ საშუალება მისცა ხარკოვს პირველი გოლი გაეტანა.

პირველი განყოფილება დამთავრდა 2:1 ბათომის სასარგებლოთ.

შესვენების შემდეგ ხარკოველებმა მიმართეს თავის ნაცად მეთოდს. ისინი ერთბაშათ დაესხნენ მოღლილ მოწინააღმდეგეს და განუწყვეტელი პასოვკით მოსვენებას არ აძლევდენ მას. მაგრამ ბათომი არ შედრკა. ის შეტევას შეტევით უპასუხებდა, მაგრამ მეტწილათ იგი იძულებული იყო თავდაცვა ეწარმოებია, რადგან საუკეთესო მოთამაშის (ცენტრ-ხავბეკ) გუნდიდან გასვლამ დაარღვია ძალთა წონასწორობა. ბათომის ჭიშკართან რამდენიმეჯერ იყო კრიტიკული მომენტი, მაგრამ გოლკიპერ პაკოვია განსაცვიფრებელი თამაშის წყალობით ხარკოველების იერიშები მიზანს ვერ აღწევდენ.

თუმცა ბოლოს ხარკოვმა შესძლო წაგებული გოლების გაქვითვა, მაგრამ ბათომი მაინც ვერ დაამარცხა. და ეს უნდა მიეწეროს იმ თავდადებას, ერთგულებას ერთმანეთისადმი, რომელსაც იჩენდენ ბათომელები. მათი გოლკიპერი პირდაპირ სასწაულებს ახდენდა. მის მიერ ორი მკვდარი ბურთის გაჩერებამ მქუხარე ტაში გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

იშვიათია ბათომელების მიერ ბურთის თავით მიღება და გადაცემა.

შეჯიბრება გათავდა 2:2.

ბათომის გუნდის თამაშით აღტაცებაში მოსულმა საზოგადოებამ გოლკიპერ პაკოვს მხურვალე ოვაციები გაუმართა შეჯიბრების გათავების შემდეგ.

წერილები პროვინციიდან

დიღომის თემის უპარტიო გლეხთა დელეგატების კონფერენცია

1924 წელს 30 ნოემბერს შესდგა დიღომის თემის უპარტიო გლეხთა დელეგატების კონფერენცია.

ამ დღეს დიღომს არა-ჩვეულებრივი სიხალისე ემჩნევა: კლუბის დარბაზში დელეგატების გარდა არა დელეგატ გლეხებსაც მოუყრია თავი და მოუთმენლად ელოდებიან კონფერენციის გახსნას. ყველას სახეზე სიხარული ემჩნევა, ყველა სიამაყეს შეუპყრია, ყველა სთვლის თავის-თავს მოვალეთ, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს კონფერენციაში.

აგრეთვე არაჩვეულებრივი სილამაზით არის შემკული კლუბის დარბაზიც, ის მორთულია მცენარეებით, ბელადების სურათებით, სცენას კი ამშვენებს დროშები.

კონფერენციას ხსნის დიღომის საბჭოს თავმჯდომარე ესიტოვი, რის შემდეგ იქნა არჩეული პრეზიდიუმი ხუთი კაცის შემადგენლობით; საპატიო თავმჯდომარეებათ კი: ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე და ორახელაშვილი.

კონფერენციას ესალმებიან: თბილისის კომიტეტის და აღმასკომის სახელით, მეტყევეთა კავშირის საშეფო კომისია და ადგილობრივი ხელისუფლება. მისასალმებელი სიტყვების დამთავრების შემდეგ კონფერენცია ისმენს ამხ. კორძაიას მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობაზე.

საბჭოს მუშაობის შესახებ გაკეთებულ იქნა მოხსენება საბჭოს თავმჯდომარის ესიტოვის მიერ, რის შემდეგ იმართება კამათი.

აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: გლეხობას ემჩნევა სათანადო მომზადება და დიდი ინტერესი საზოგადოებრივ მუშაობაში.

აქედან დასკვნა: ოქტომბრის რევოლიუციის შუქს მნიშვნელოვნათ გაუდგამს ფესვები უპარტიო გლეხთა მასაში, რომელიც უნდა გარდაიქცეს ერთ-ერთ საუკეთესო ძალად კომუნიზმის შენებაში.

გიტაშვილი.

საჭიროა ყურადღება მიექცეს

1923 წლის დასაწყისში ზუგდიდის განათლების განყოფილება შეუდგა—შვიდწლედის შენობის რემონტს, სამეურნეო განყოფილების საშუალებით, რომელსაც გადაეცა საჭირო თანხა.

რემონტს უკეთებდა კერძო მოიჯარადრე. გავიდა წელიწადზე მეტი, ხოლო ეს შენობა დღესაც მიტოვებულია და ფუჭდება.

მოწაფენი მოთავსებულნი არიან კერძო შენობაში, რომელსაც არა აქვს არც ერთი მინა. რას ისწავლის სიცივეში მოწაფე? საჭიროა ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიაქციოს ყურადღება. მოსთხოვოს მოიჯარადრეს შენობის შეკეთება.

კ. აიხა.

მივიწყებული კუთხე სოფელი ღები და ჭიორა

(რაჭის მაზრა)

სოფ. ღები მდებარეობს ფასისა და დიგორის მთების მყინვარებს შუა, სოფ. ჭიორა კი დაშორებულია ღებიდან სამი ვერსით. მცხოვრებთა რიცხვი ამ ორივე სოფელში უდრის 8.000 სულს. აღნიშნული სოფლები ოსეთის სამხედრო გზიდან დაშორებული არიან რვა ვერსით. გლეხები ძალიან გაჭირვებულათ სცხოვრობენ, რადგან სახნავ-სათესი მიწები ამ კუთხეში ძლიერ ცოტაა. ზამთარი კი დიდი იცის, გლეხი 5-6 თვის სარჩოსაც ვერ ამზადებს და იძულებულია სხვაგან სადმე წავიდეს ლუკმა პურის საშოვნელად.

დღეს, საბჭოთა ხელისუფლების დროს, გლეხობას იმედი ჰქონდა, რომ მას მეტ ყურადღებას მიაქცევდენ, მაგრამ ეს კუთხე დღესაც მივიწყებულია:

ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება უპატრონოთ არის მიტოვებული, ტელეგრაფის ხაზი ხშირად ზიანდება, მაგრამ შემკეთებელი არავინ არის.

იყო აქ სასწავლებელიც, რომლის შენობა დღეს ნახევრად დანგრეულია, არც ერთი ფანჯარა არ არის დაუზიანებელი, სახურავი დამპალია და წვიმა თავისუფლად ასხამს შენობაში. მასწავლებლობა, მიუხედავათ ამისა, მაინც გულმოდგინეთ ასრულებს თავის მოვალეობას, დარწმუნებული, რომ სამაზრო ცენტრი, როცა იქნება ყურადღებას მიაქცევს სკოლას.

სოფლებს არა აქვთ გზა. აღნიშნულ სოფლების გლეხობამ მიმართა სამაზრო აღმასკომს თხოვნით მიეცა ტეხნიკოსები და უფასოდ დაეთმო ტყის მასალა და თავისი შრომით კისრულობდენ გზის გაყვანას. მაგრამ ეს შუამდგომლობა დღემდის უყურადღებოთ არის დატოვებული.

არ არის კოოპერატივიც. თუ რამე დასჭირდა გლეხობას, მაგალითად: ასანთი, ძაფი, და სხვა იძულებული, ხდება 60 ვერსი გაიაროს აღნიშნულ საგნების შესაძენათ. მენშევიკების დროს არსებობდა ღებში კოოპრატივი, მაგრამ ხალხზე „გულმოდგინე მზრუნველებმა" კოოპერატივის მთელი ქონება გაფლანგეს. დღეს გლეხობა მოითხოვს კოოპერატივის გახსნას, მაგრამ არავინ არის, რომ ეს საქმე ითავოს.

არ არის ამ სოფელში ექიმიც და მთელი 8.000 სული სოფლის ექიმბაშების და მკითხავების ანაბარა არიან მიტოვებული.

როდის მიაქცევს სამაზრო აღმასკომი ამას ყურადღებას?

ართუღელი.

ამხ. გ. ასათიანის საყურადღებოდ

გაზეთ კომუნისტის № 271-ში წავიკითხე, რომ თქვენს მიერ თქვენ ნაცნობსა და მეგობრებს შორის შეგროვილია დღნორისის სკოლის სასარგებლოთ 121 მანეთი და სურვილი გაქვთ გაიგოთ, თუ ვის უნდა გაეგზავნოს შეგროვილი ფული. გაცნობებთ, რომ სოფ. დღნორისაში თუმცა ძველი სასკოლო საამშენებლო კომისია გაუქმდა, მაგრამ მის ნაცვლად არჩეულ იქნა მცხოვრებთაგან ახალი კომისია, რომელთაც მიანდო სოფელმა სასკოლო შენობის შეკეთება. თვითდაბეგვრით—თავის სურვილით სოფელმა გაიღო სკოლისათვის 2000 მანეთამდის და ხის შენობაც თითქმის მოთავდა, მაგრამ კიდევ არის საჭირო მინები, სტკეტავები და შპალიერი, რისთვისაც სკოლას საჭირო თანხა აღარ მოეპოვება. გთხოვთ თქვენ მიერ შეგროვილი ფული გადმოგვიგზავნოთ ფოსტით ზემოხსენებული სკოლის დასამთავრებლათ შემდეგი მისამართით: სადგური მექვენა (ლეჩხ. მაზრა) ოთხწლედების გამგე შიო ხვადაგიანს დღნორისის სკოლის საჭიროებისათვის.

მექვენის რაიაღმასკომის თავმჯდომარე (ხელის მოწერა გაურკვეველია).

გზების შეკეთება ხობის რაიონში

(ზუგდიდის მაზრა)

შარშან ამ დროს სენაკ-ზუგდიდის გზატკეცილი და ხიდი ძლიერ იყო დაზიანებული და მიმოსვლა ზუგდიდ-სენაკ შორის ზოგჯერ თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ მიიღო სასწრაფო ზომები გზის შესაკეთებლათ. დღეს გზები იმდენათ კარგათ არის შეკეთებული, რომ ავტომობილებით მიმოსვლა მოეწყო და სამგზავრო ფასები 50—60 პროცენტით შემცირდა.

ს. გერგაია.

პროვინციის ქრონიკა

— **ცხინვალის მაზრაში** 1-ლ ივლისიდან 1 ნოემბრამდე აღრიცხულია 2,283 მალიარიით და ჭლექით ავადმყოფი.

— **ქუთაისის სამაზრო** გლეხკომმა კოლოფების ქარხნისათვის საზღვარგარეთ შეუკვეთა მანქანების საჭირო ნაწილები.

— **წერა-კითხვის უცოდინარი** სულ სენაკის მაზრაში ირიცხება 20 ათასი კაცი.

— **სენაკში** 8 დეკემბერს შესდგება მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია

— **ტყის დაცვა.** ტყის მოშენებისა და დაცვის მიზნით ლანჩხუთის აღმასკომმა ლანჩხუთის ტყეებში აკრძალა საქონლის მოძოვება.

— **ზეკარის გზა-ტკეცილი.** გზატკეცილების სამმართველომ გადასწყვიტა დაჩქარებით შეაკეთოს ზეკარის (ქუთ. მაზრა) გზა-ტკეცილი.

— **ლანჩხუთის** სამაზრო აღმასკომმა მაზრაში სკოლების შესაკეთებლათ გადასდო 1000 მ.

— **ახალი ხიდი.** ლეჩხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა სოფ. ახალქალაქში მდ. ლაჯანურზე ააგოს ხიდი.

— **ორკესტრის შეძენა.** ლეჩხუმის აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს სამხედრო ორკესტრი.

— **თელავის** აღმასკომმა 8 წლის განმავლობაში გაუქმებულ ელექტრო ქარხნის ასამუშავებლათ გადასდო 1200 მან.

— **მთლიან-სასოფლო-სამეურნეო** გადასახადის აკრეფის შესახებ ლეჩხუმის აღმასკომმა გადასწყვიტა მაზრაში მოაწყოს კვირეული, კვირეულის განმავლობაში გლეხებში გაშუქებული იქნება გადასახადის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

— **საქონლის ჭირის წინააღმდეგ.** უკანასკნელ კვირების განმავლობაში ყარაიაზში ჭირის წინააღმდეგ აუცრეს 4,217 სულ საქონელს.

პროვინციის ფოსტა

ამხ. მოურიდებელს. თქვენი კორესპოდენცია გადაეცა ს. კ. პ. ცენტრალურ საკონტროლო კომისიას.

ამხ. ოდიშელს. გვაცნობეთ თქვენი მისამართი. გვარი გარკვევით დასწერეთ. თქვენი უკანასკნელი კორესპოდენცია არ დაიბეჭდა. გამოგზავნეთ სხვა მასალა.

ი. ხერსელს (სიღნაღი). თქვენი წერილი არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ კორესპონდენციები.

ბიბლიოგრაფია

ნ. ბუხარინი. მსოფლიო მეურნეობა და იმპერიალიზმი (ეკონომიური ნარკვევი) ის. თალაქვაძის რედაქციით. ნათარგმნი აკ. ბაბუნაშვილის მიერ.

თბილისი 1924 წ სახელმწიფო გამომცემლობა.

მსოფლიო ომმა კაპიტალისტურ საზოგადოებაში მოქმედი ყველა მამოძრავებელი ძალა ცხოვრების ზედაპირზე ამოიტანა. ამით გაიშალა ვეებერთელა ასპარეზი როგორც წინანდელ თეორიულ დიაგნოზების შესამოწმებლად და დასამთავრებლად, აგრეთვე ახალ ჯერ სავსებით გაუთვალისწინებელ მომენტების ნათელსაყოფად. ამ საკითხთა შორის ძირითადია თემა, რომელსაც ამხ. ბუხარინის წიგნი ეხება: მსოფლიო მეურნეობისა და იმპერიალიზმის შესახებ. მისი მატარებელი, მამოძრავებელი არის ფინანსიური კაპიტალი, რომლის „ხანამ ყველაზე უფრო აშკარად და მწვავედ გამოამჟღავნა კაპიტალისტური ორგანიზმის, როგორც ასეთის, შეუგუებლობის ყველა ელემენტები" (გვ. 165). აი ეს ელემენტები უნდა იქნან ნაჩვენები და განხილული რომ ნათელი გახდეს „სინამდვილის იმმანენტური კანონი", რომელიც როგორც ავტორი ამბობს, „საშინელის სიძლიერით" იჩენს თავს სწორედ „თანამედროვე კაპიტალისტურ მსოფლიოში".

წიგნი ოთხი განყოფილებისაგან შესდგება, რომელთაგან თითოეული განკუთვნილია მსოფლიო მეურნეობის ამა თუ იმ მხარის გამოსარკვევად. ძირითადი თემაა მსოფლიო მეურნეობის როგორც, ასე ვსთქვათ, სუბიექტის, ისე ობიექტის გამორკვევა, ე. ი. არსებობს თუ არა როგორც რეალი მოვლენა მსოფლიო მეურნეობა, რომელსაც მისთვის, როგორც მთლიან მოვლენისათვის დამახასიათებელი ფუნქციების დანაწილება, საამისო სალსარი და ორგანოები და სხვ. გააჩნია, თუ სინამდვილეში არსებობენ მხოლოდ „ნაციონალ-სახელმწიფოებრივი" მეურნეობანი, რომელთა არითმეტიკული და მექანიკური თავყრილობა შეიძლება მსოფლიო მეურნეობის სახელით მოვნათლოთ? ასეთია ძირითადი საკითხი და ავტორი გარკვეული თანმიმდევრობით სცდილობს იმის გარკვევას, რომ აქ საქმე გვაქვს ფუნქციაგანაწილებულ, ორგანიზაციულად შეკავშირებულ ფორმებთან, რომლებიც ამოსულან ნაციონალურ კაპიტალის ფარგლებიდან, თან წაუღიათ და შეუნარჩუნებიათ ზოგიერთი მათი თვისება მხოლოდ მათთვის (კონკურენცია, კონცენტრაცია და სხვ.) გაცილებით უფრო დიდი მასშტაბი მიუცია.

ავტორი საინტერესოდ არკვევს საქმის კიდევ ერთ მხარეს. ცხადია, რომ მსოფლიო მეურნეობას თან ახლავს ყველა ის ნიშნები, რომლებიც ნაციონალ კაპიტალს, როგორც გარკვეულ სოციალ-კატეგორიას ახასიათებდა, მაგრამ ინტერნაციონალ ეკონომიურ ურთიერთობაში ის მაინც ერთგვარ გადაჯგუფებას ახდენს. სწორედ აქ ისმება პრობლემა კაპიტალის ინტერნაციონალიზაციისა და ნაციონალიზაციის შესახებ. ავტორი არკვევს ზედმიწევნით ნათლად, თუ როგორ ემატება ამ მხრივ ერთი ახალი და ძლიერი წინააღმდეგობა ყველა ძველ წინააღმდეგობებს, რომლებიც [illegible] ე. ი. სოციალ-ვითარებაში იმთავითვე იყო [illegible] წინააღმდეგობათა გაშიშვლებული გამოვლენა, რომლის წყალობით იდეოლოგიაშიც გამოხატული კავშირი „ნაციონალ კაპიტალთან" უნდა დაიმსხვრეს და ნიადაგი გამოეცალოს „პროლეტარიატის მსოფლმხედველობის სივიწროვეს, მისი ინტერესების ნაციონალურ სახელმწიფოებრივი (ნ. ბ) ინტერესებით შემოფარგვლას მის პატრიოტიზმს".

უნდა ითქვას, რომ ამავე წიგნში მოცემული წინამძღვრები ამხ. ბუხარინის იმ პოზიციისა, რომელიც მას ერთ დროს ახასიათებდა ეროვნულ საკითხში. მისი აზრით ეროვნულ (ამ შემთხვევაში ბურჟუაზიულ) სახელმწიფოს „იდეის ადგილს, რომელიც საშინლად აბრკოლებს საწარმოო ძალების განვითარებას", იჭერს ლოზუნგი სახელმწიფო საზღვრების მოშლისა, (ნ. ბ.) და ხალხების შეერთებისა ერთ სოციალისტურ ოჯახად".

ქართული თარგმანი (თუ რედაქციაც) ძალიან კარგია, თუმცა აქა-იქ რუსული ენის ფორმებია. აუარებელ პირდაპირ შეუწყნარებელი შეცდომებია უცხო ენის ნიმუშებში. ეს უნდა მოისპოს ერთხელ და სამუდამოდ.

წიგნი ლამაზათაა გამოცემული და იაფიცაა.

შ. ნ.

წერილი რედაქციის მიმართ

(პასუხი აკაკი ხირაძეს)

ვღებულობ თქვენს წინადადებას (იხ. „კომუნისტი"-ს № 280) და ჩემის მხრით მედიატორებათ ვასახელებ შემდეგ ამხანაგებს: შურა დუდუჩავას, ეპიფანე ვასაძეს და პ. ქუთათელაძეს.

იონა ვაკელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება არსენალის რაიონის დელეგატ ქალთა კრება.

ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

მდივნის მაგიერ მელაძე.

— ოთხშაბათს, 10 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება ქალაქის რაიონის ყველა საშეფო კომისიების სხდომა.

საშეფო კომისიების წარმომადგენელთა დასწრება სავალდებულოა.

მდივანი სტურუა.
საგ.-საპრ. განყ. გამგე რახმანი.

— სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება უჯრედების მიერ გამოყოფილ **სააგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზატორების თათბირი.**

ყველა საგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

მდივანი სტურუა.
საგ.-საპრ. განყ. გამგე რახმანი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომი იტყობინება, რომ სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე, მე-3 რაიკომის პარტიულ კლუბში შესდგება საერთო **ხარაიონო კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის და მე-3 რაიონის მუშკორების და სამხკორების სხდომა** იმ კომისიასთან ერთად, რომელსაც დავალებული აქვს „მუშკორების და სამხკორების კუთხის" მოწყობა.

— ს. კ. პ. თბილისის ორგანიზაციის მე-3 რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ სამშაბათს, 9 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, მე-3 რაიკომის პარტიულ კლუბში შესდგება **მე-3 რაიონის დელეგატ ქალების კრება.**

ყველა დელეგატ ქალების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— ხუთშაბათს, 11 დეკემბერს, ცენტრალურ პარტიულ კლუბში გაიმართება **დისკუსია საბჭოთა კინო-მრეწველობის შესახებ.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა განსაკუთრებით პარტბილეთებით.

— შაბათს, 13 დეკემბერს, კინო. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. შესვლა თავისუფალია კომუნისტების ოჯახებისათვის.

განცხადებები

სახელმწ. დრამა

დღეს, 9 დეკემბერს
„მზის დაბნელება—
—საქართველოში"
ხუთშაბათს, 11 დეკემბერს
სინათლე

ნ. 347 4—2 დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

სახელმწ. ოპერა

დღეს, 9 დეკემბერს
„რუსალკა"
ოთხშაბათს, 10 დეკემბერს
აბესალომ და ეთერი
№ 352 2—1

დამატებითი მატარებელი კახეთის გზაზე.

სამგზავრო მატარებლების მეტისმეტი დატვირთვის გამო და მათი მოქრაოების მოწესრიგების მიზნით 7 დეკემბრიდან თბილისსა და გურჯაანს შორის ყოველდღიურათ დანიშნულია ერთი წყვილი სამგზავრო-საბარგო მატარებლებისა №№ 21 და 22

თბილისიდან მატ. № 21 გავა
დილის 10 ს. 30 წ. (ადგილობრივი დროით) და გურჯაანში ჩავა საღამოს 7 ს. 35 წ.

გურჯაანიდან მატ. № 22 გამოვა
იმავე დღეს საღამოს 10 ს. 50 წ. და თბილისში ჩამოვა დილის 8 საათზე.

ნ. 345 2—2

ს. ს. რ. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი აცხადებს, რომ დღის 12 საათზე 10 დეკემბერს, მიწათმოწყობის განყოფილების სამხაზველოში (ტრიბუნალის ქუჩა № 32)

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების საიჯაროთ გაცემაზე, მდებარე თბილისის და ბორჩალოს მაზრებში მტკვრის, ხრამის, მაშავერის და დებედაჩაის მდ. პალიასტომის და ყარაიაზის ტბებში საქართველოს საზღვრებში ვადით 1925 წლის იანვრის 1-ლიდან 1926 წლის 1-ლ იანვრამდე.

საიჯარო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრილებითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების კანცელარიაში (ვანგუელოვის ქუჩა № 2), დღის 12—3 საათამდე. ნ. 317 2—2

ქუთაისის მე 2-რე უბნის სახალხო სასამართლო

ა. წ. 12 დეკემბრისათვის დილის 9 საათზე იწვევს თავის კამერაში ქალაქ ქუთაისის მოქალაქეს ნიკოლოზ ტრიფონის ძე ლომსიანიძეს (მისამართი გამოურკვეველია) პასუხის საგებლად მაზე განცხადებულ ძიებაზე დიომიდე კასილისძე ფანცხავას მიერ სამასი ჩერვონული მანეთის მისჯის შესახებ. მისი გამოუცხადებლობა საქმის გარჩევას არ შეაჩერებს.

№ 3001—1—1 სახალხო მოსამართლე თ. ლეჟავა

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დაარსებული
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაავადებისათვის, როშელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—8

მატემატიკის გამოცდილი
მასწავლებელი
(14 წლ. კერძო პრაქტიკით და 10 წლის პედაგოგ. სტაჟით). ამზადებს შრომის სკოლის ყველა კლასებისათვის და ასწორებს ჩამორჩენილ მოწაფეებს მათემატიკაში. რუსულ და გერმ. ნაში); აქვე სდგება საღამოს მოსამზ. ჯგუფი საშუალო სასწავლებლის კურსდამთავრების მოწმობაზე. მიღება დილით; 9—11 ს. და 2—5 საათ. მეცადინობის დაწყება: 12 დეკემბერს. პლეხანოვის პროსპ. 25 (შესავალი ალექსის ქუჩა № 5).
4—4 № 2959

ექიმმა
ზანდუკელმა
განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი და ნერვიული-
სნეულებანი
ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათამდი. ლენინის (ოლღას) ქ., 49, ტელ.—82.
№ 2797—25—15

ექიმმა
დიტრიხმა
ავადმყოფობის შემდეგ
განაახლა
ავადმყოფების მიღება გერმანელთა საავადმყოფოში
ქვ. № 2837—25—11

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობა
საბოლოო ბალანსი 1924 წ. 1 ოქტომბრისათვის

აქტივი.

	საშუალებების მიმოხილვა		
	ა) თანხები		
1.	კასა	1337—27½	
2.	მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	218—29	1555—56½
3.	ბ) სხვა წარმოებათა გევმა		1565—62
	გ) მატერიალური ღირებულებანი:		
4.	წიგნები: 3 მაღაზიაში	57321—39	
5.	„ წიგნების საწყობში	181523—31	
6.	საკანცელიარიო მასალები საწყობში და მაღაზიაში	1544—93	
7.	საბავშვო სათამაშოები	2677—80	
8.	ნოტები და მუსიკ. ინსტრუმენტები	4093—28	
9.	საკომისიოთ მიღებული წიგნები	6731—51	
10.	ქაღალდი ქაღალდის საწყობში	15858—90½	269751—12½
	დ) დაუმთავრებელი წარმოება		49352—06
11.	წიგნების გამოცემა		
	ე) დებიტორები:		
12.	სხვადასხვა პირების და დაწ. ანგარიშებით	55977—68½	
13.	ბათომის განყოფილება	9436—39	
14.	მიღებული თამასუქები	51048—02	
15.	ს.ს.ს.რ. განათლ. სახ. კომისარ.	17880—75½	134342—85
16.	ვ) ავანსები და ქვეანგარიშო თანხები		6698—61½
17.	ი) მოძრავი ქონება		1379—16
18.	ზარალი 1924 წლის განმავლობაში		14235—97
			478880—96½

პასივი.

	ა) საკუთარი კაპიტალები		
1.	ძირითადი კაპიტალი	153601—31	
2.	საბრუნავი კაპიტალი	81185—	234786—31
	ბ) კრედიტორები:		
3.	სხვადასხვა პირები და დაწესებულებები	68671—29½	
4.	პოლიგრაფიული განყოფილება	18056—86	
5.	სალიტერატურო-სამხატვრო სექც.	5359—58	
6.	გაცემული თამასუქები	22375—63	
7.	სახელგამის ქუთაისის განყოფილება	10778—97	
8.	სხვადასხვა კრედიტორები	30112—76	
9.	კომიტენტები	10718—20	
10.	ა.-კ. ს.ფ.ს.რ. ფინკომიტეტის სესხი	55000—	221073—29½
11.	წმინდა მოგება 1924 წ. 1 იანვრისათვის		23021—36
			478880—96½

ს.ს.ს.რ. სახელმწიფო გამომცემლობის გამგე: ზუმბაძე. ნ. 346 1—1. მთავარი ბუღალტერი: ა. ნადირაძე.

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.
მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოვოსპირდაპირ. 25—10 № 2850

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
ბავშვთა და მოზრდილთა შინაგანი ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.
ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ., გარდა უქმეებისა.
პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.
№ 2969 25—3

ექიმი
შუხმანი
სიფილისის, ვენერიული და კანის ავადმყოფობის
მკურნალობა
მიღება 5—7 საათამდი
ელისაბედის ქ. № 89 ქსენიის ქუჩის პირდაპირ. 2672—25—24

დაკარგე ს. ა. ლ. კ. მთლიანი ბილეთი № 12862 აპოლონ ლომთათიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2999 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა, მოცემული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან № 113 მარიამ რუსაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 3000 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა და ქალთა განყოფილების მიერ მოცემული დელეგატის მოწმობა ეკატერინე ივანეს ასულ ბაჯაკოვას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 3001 1—1

დაკარგე ანტონ ივანეს ძე ვასაძემ პირადი სამხედრო წიგნაკი № 36 ხიდისთავის რაიაღმასკომიდან მიღებული. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2993 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა № 55 მცხეთის რაიონის აღმასკომის მიერ გაცემული კოლა ბიგანაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2994 1—1

დაკარგე სამხედრო აღრიცხვის და პირადობის მოწმობა მოცემული ხარაგაულის რაიონის აღმასკომიდან ნიკოლოზ სამსონის ძე თხელიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2995 1—1

დაკარგე მეტრიკული მოწმობა № 1907 ალექსანდრე მიხაილოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2995 1—1

დაკარგე მოწმობები, პირადობის № 309 მიღებული საჭამიასერის რაიაღმასკომიდან, სიღარიბის მოწმობა № 128 თბილისის შრომის ბირჟის წიგნაკი და დახლეულის ფურცელი № 40 ილია მალულარიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2996 1—1

დაკარგე კავშირის და დამხლეულის წიგნაკი ბიჭიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2997 1—1

დაკარგე პირადობის მოწმობა გაცემული გურჯაანის რაიონის აღმასკომიდან ნატალია სვიმონის ასული აბაშიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 2998 1—1

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.